პანდემიის გავლენა **სკოლამდელ განათლებაზე** საქართველოში

კვლევის ანგარიში

სექტემბერი 2021

Civitas GEORGICA

კვლევაზე მუშაობდნენ:
ოლღა მუსხელიშვილი, ნინო ჯიჯავაძე, თამარ ბაქრაძე, ალექსანდრე კალანდაძე, მაია ნასრაშვილი, გიორგი მესხიძე

კვლევა მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“, ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
1. შემაჯამებელი მიმოხილვა	5
რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები	7
2. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია	12
3. კვლევის მიგნებები	14
3.1.საკანონმდებლო მიმოხილვა	14
3.1.1 სკოლამდელი განათლების სფერო – კანონმდებლობა	14
3.1.2. პანდემიის ქრონოლოგია	15
3.1.3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები – შემუშავების პროცესი და მონაწილეობა	17
3.1.4. რეგულაციების შესრულება	19
3.1.5. საბავშვო ბაღებისთვის შემუშავებული რეგულაციების თავსებადობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან	20
3.2 პანდემიის მართვა და სკოლამდელი განათლება	25
3.2.1 საკოორდინაციო საბჭო/მთავრობა	25
3.2.2. სიტუაციის მართვა ადგილობრივ დონეზე	26
3.2.3 ბაღების ფუნქციონირება და რეგულაციების შესრულება	27
3.2.4. დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები	29
3.2.5 ბიუჯეტის ხარჯვა	32
3.3. განათლება პანდემიის დროს	34
3.3.1. დისტანციური სწავლება – ზოგადი სურათი	34
3.3.2. დისტანციური სწავლების ფორმები და ბავშვების ჩართულობა	36
3.3.3. სხვა საგანმანათლებლო ინიციატივები	37
3.4.ოჯახების მხარდაჭერა	40
3.4.1 ოჯახების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილება	40
3.4.2. ოჯახების მხარდაჭერა საგანმანათლებლო მიმართულებით	41
3.5. უცხოური ქვეყნების გამოცდილება	42
3.6. გამოუყენებელი შესაძლებლობები	57
დასკვნის მაგივრად	59

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

ბავშვის დაცვა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა ნებისმიერი საზოგადოებისთვის პრიორიტეტულია. 0-დან 6 წლამდე ასაკი ბავშვის განვითარების ეტაპებიდან ყველაზე კრიტიკულ პერიოდად არის მიჩნეული. კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეირობიოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ტვინის 90%-ის ევოლუციონირება სწორედ ადრეულ ასაკში ხდება. ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობა, სოციალური უნარ-ჩვევები და შემეცნებით-ენობრივი შესაძლებლობები, რომლებიც ბავშვობაში ჩნდება, შემდგომ სკოლაში, სამუშაო ადგილსა და საზოგადოებაში წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ახალი კორონავირუსი სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა განათლებისთვის მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ის ბავშვები, რომელთაც მანამდეც ჰქონდათ გარკვეული ბარიერები: იყვნენ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ან სპეციალური საჭიროების მქონენი. ფიზიკური დასწრების შეზღუდვის გამო მათ, შესაბამისად, შეეზღუდათ განათლებისა და განვითარების შესაძლებლობა, სოციალური და ემოციური მხარდაჭერა და ისეთი მნიშვნელოვანი დამატებითი სერვისი, როგორიცაა კვება.

გლობალურმა პანდემიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ჩვენს სფეროში არსებული გამოწვევები და ხელის გულზე დაგვილაგა ის ყოველდღიური პრობლემები, რომელთა გადალახვაც ყველაზე უფრო გადაუდებელია სკოლამდელი განათლებისთვის. სწორედ ამიტომაც, ჩვენმა გუნდმა 2021 წლის თებერვალში დაიწყო კვლევის მომზადება, რომლითაც შევეცადეთ, შეგვეფასებინა პანდემიის გავლენა სკოლამდელი განათლების სისტემაზე და წარმოგვედგინა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას, ახლაც და სამომავლოდაც, კრიზისული სიტუაციისას.

მადლობა ადრეული განვითარებისა და სკოლამდელი განათლების მხარდამჭერებს, ვისთვისაც ხარისხიანი განათლება და ბავშვის ადრეული განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ფასეულობაა.

20.09.2021
გიორგი მესხიძე

1. შემაჯამებელი მიმოხილვა

სკოლამდელ განათლებას ბავშვის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. სწორედ ამ დროს ხდება ბავშვის სოციალიზაცია, უნარების განვითარება, მომზადება სკოლისთვის. ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლების პირველი საფეხურია და ხელს უწყობს ბავშვის წარმატებულ სწავლას სკოლაში, ქმნის განათლებული საზოგადოების საფუძველს. მნიშვნელოვანი ფინანსური სუბსიდირება სკოლამდელ განათლებაში სახელმწიფოსთვის ყველაზე მომგებიანი ინვესტირებაა.

სკოლამდელი განათლების სფერო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით წესრიგდება. წინამდებარე კვლევა ასახავს პანდემიის პირველ წელს. ის განხორციელდა საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან, სამინისტროების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუების თვისებრივი მეთოდის და 500-მდე საბავშვო ბაღის წარმომადგენელის და 2300-მდე მშობლის გამოკითხვის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.

2020-2021 წლებში პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზიანა სკოლამდელი განათლების სისტემა. საქართველოში ერთი წლის განმავლობაში, 2020 წლის მარტიდან (პირველი კარანტინი) 2021 წლის მარტამდე საბავშვო ბაღებმა მხოლოდ 4-6 კვირა იმუშავა, ხოლო აჭარის რეგიონში საერთოდ არ უმუშავია. კვლევის ფარგლებში სწორედ ეს პერიოდი შევისწავლეთ – 2020 წლის მარტიდან 2021 წლის პირველ მარტამდე, როდესაც საბავშვო ბაღებმა განაახლეს მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ცენტრალურ მთავრობას არ გააჩნდა სპეციალური პოლიტიკა/ხედვა პანდემიის პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებებთან დაკავშირებით. სიტუაციის მართვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ქვეყნის ყველა ბაღის ერთობლივი დახურვა/გახსნა. ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტებს, რომელთათვის სკოლამდელი განათლება საკუთარი უფლებამოსილებაა, ასევე არ შეუმუშავებიათ საგანგებო სტრატეგია.

სპეციალური რეგულაციები საბავშვო ბაღებისთვის, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის“ (31.08.2020), რომელიც დღემდე მოქმედებს, მომზადდა და დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – ჯანდაცვის სამინისტრო) შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ. მათი მომზადება სკოლამდელი განათლების და ადრეული განვითარების სპეციალისტებთან კონსულტაციების გარეშე, დახურული და გაუმჭვირვალე პროცესის შედეგად მოხდა. ეს რეგულაციები არ ითვალისწინებს საბავშვო ბაღის სპეციფიკას და ეფუძნება ზოგად პრინციპებს – პირბადის გამოყენება და დისტანციის დაცვა. მოქმედი რეგულაციები წინააღმდეგობაში მოდის სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი

შესრულების პირობებში საბავშვო ბაღი თავის ძირითად – საგანმანათლებლო – ფუნქციას კარგავს. ამავე დროს, რეგულაციები არ ითვალისწინებს ჯგუფში ბავშვთა რაოდენობის შემცირებას, რაც ნიშნავს, რომ პანდემიის მიუხედავად, კვლავაც ფუნქციონირებს ბაღები, სადაც ჯგუფში 30-მდე ბავშვია და ისეთი ბაღებიც, სადაც ჯგუფში 40 და მეტი აღსაზრდელია.

კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის დროს მუნიციპალიტეტების ნაწილი ახორციელებდა დისტანციურ სწავლებას. აღმზრდელები უმეტესად იყენებდნენ ვიდეოაქტივობებს ბავშვებისთვის და ონლაინშეხვედრებს, რაც ნიშნავს, რომ სწავლებაში ჩართულ ბავშვებს გარკვეული დროის გატარება უწევდათ ეკრანებთან. მუნიციპალიტეტებს აღმზრდელებისთვის/ბაღებისთვის არც მეთოდური, არც მატერიალური და არც ტექნიკური საშუალებებით დახმარება ამ საქმიანობის განსახორციელებლად არ გაუწევიათ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - განათლების სამინისტრო) არ შეუმუშავებია პანდემიის პირობებში ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ან/და დისტანციური სკოლამდელი განათლების კონცეფცია თუ მეთოდიკა. მიუხედავად გამოკვეთილი საჭიროებებისა, ოჯახებისთვის სასწავლო რესურსის მიწოდება თითქმის არ განხორციელებულა.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახების დიდი ნაწილი განიცდის დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობას, ამასთან, უმრავლესობაში რამდენიმე დედმამიშვილია რაც ბავშვებს ურთულებს სრულყოფილ ჩართულობას, ხოლო მრავალწევრიანი ოჯახებში დისტანციური სწავლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაც პრობლემაა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვები სრულიად ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების, მათ შორის, განათლების სამინისტროს ადგილობრივი რესურსცენტრების და საბავშვო ბაღების მხრიდან.

მუნიციპალიტეტების ნაწილი აქტიურად არიგებდა საკვებ პროდუქტს, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ოჯახების დახმარება. სამწუხაროდ, საკვები პროდუქტებით ოჯახების მხარდაჭერა ყველა მუნიციპალიტეტში არ მომხდარა, ხოლო ნაწილში არ ატარებდა სისტემეტურ ხასიათს მაგალითად, პროდუქტები დარიგდა წელიწადში ორჯერ.

საბავშვო ბაღების გაერთიანებების (ბაღის მართვის სააგენტოების) ფინანსების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაღების დახურვის შედეგად გაერთიანებებს აუთვისებელი დარჩათ ბაღებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი (ზოგან 500 000 ლარამდე). სამწუხაროდ, ეს თანხები არ მოხმარდა ბაღების არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას და დაბრუნდა მუნიციპალურ ბიუჯეტში. ამავე დროს, კვლევამ აჩვენა, რომ ბაღებს ესაჭიროებათ დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები, პრინტერები, ინტერნეტი), საგანმანათლებლო რესურსი და პერსონალის ტრენინგები. აგრეთვე, აქტუალურია ბაღის ეზოების სათამაშო სივრცეების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად მოწყობის საკითხიც. მითუმეტეს, რომ საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი, ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული ეზო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს

პანდემიის პირობებში. აღსანიშნავია, რომ ამისთვის დიდი დანახარჯების გაწევაც არ იყო საჭირო.

სკოლამდელი განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება აღმზრდელების კვალიფიკაციის საკითხი. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გააჩინა შესაძლებლობა, რომ ეს პერიოდი გამოყენებული ყოფილიყო აღმზრდელების გადამზადებისთვის, თუმცა ეს არ მომხდარა.

მოცემული კვლევის საგანი არ ყოფილა დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასება, ასევე, პანდემიის გავლენის შესწავლა ბავშვების განვითარების ტემპზე და, კერძოდ, ექვსწლიანთა სასკოლო მზაობაზე. ბავშვების ფსიქოსოციალური მდგომარეობის და სწავლის სირთულეებთან დაკავშირებით ბევრი გამოწვევაა მოსალოდნელი მომავალში და ამ საკითხებზე დამატებითი კვლევის ჩატარებაა მიზანშეწონილი.

რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პანდემიის გამო სკოლამდელ განათლებაში სავარაუდოდ გამოწვეული ჩამორჩენის ასანაზღაურებლად, როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ, დროულად უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომელსაც მათ საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ აკისრებს.
1.1. უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და საბავშვო ბაღების ავტორიზაციის წესის დამტკიცება.
1.2. მუნიციპალიტეტების მიერ უნდა მოხდეს ბიუჯეტის გადახედვა, ფინანსების გამოყოფა ადგილობრივ დონეზე ადრეული განათლების სფეროს მართვის ოპტიმიზაციის მიზნით.

2. 2022 წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტების მხრიდან მოხდეს ბაღების ავტონომიურობის უზრუნველყოფა.
2.1. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ საბავშვო ბაღების ავტონომიურობა.
2.2. პარალელურად, უნდა მოხდეს ბაღების ადმინისტრაციის გაძლიერება მართვის საკითხებში ტრენინგებით და პრაქტიკაში მხარდაჭერით, რათა საბავშვო ბაღების ადმინისტრაციამ მოახერხოს მართვის პროცესში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და, საჭიროების შესაბამისად, მოახდინოს გამოწვევებზე მყისიერი რეაგირება.

3. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ჯგუფში ბავშვთა რაოდენობის შემცირება და ბავშვი/პედაგოგი თანაფარდობის დაცვა.
იმ მუნიციპალიტეტებმა, სადაც არ სრულდება კანონის მოთხოვნა ბავშვი/პედაგოგი თანაფარდობისა და ჯგუფში ბავშვების რაოდენობის ზედა ზღვრის შესახებ, უმოკლეს ვადაში უნდა მიიღონ ზომები კანონის მოთხოვნის შესასრულებლად. ეს არა მარტო

შეუწყობს ხელს საბავშვო ბაღში განათლების ხარისხის ამაღლებას, არამედ შეამცირებს ვირუსის გავრცელების საფრთხეს, საშუალებას მისცემს ბაღს საჭიროების შემთხვევაში შეამცირონ (გაყონ) ჯგუფები, მოახდინონ მათი ურთიერთიზოლირება, უფრო ეფექტურად განახორციელონ ჰიბრიდული თუ დისტანციური სწავლება.

4. უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს საბავშვო ბაღებისთვის შექმნილი რეგულაციების გადახედვა ჯანდაცვის სამინისტროს (შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი) მიერ.

4.1. მნიშვნელოვანია, გადაიხედოს საბავშვო ბაღებისთვის შექმნილი რეგულაციები განახლებულ ცოდნაზე დაყრდნობით და ამ პროცესში აუცილებლად მოხდეს ადრეული განათლების სპეციალისტების ჩართვა.

4.2. აუცილებელია, რეგულაციებში ცვლილებები შევიდეს ბავშვის არამხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის კუთხით, საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო ფუნქციის გათვალისწინებით და იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც დღეისათვის უკვე არსებობს COVID-19 -თან დაკავშირებით.

5. უნდა მოხდეს საბავშვო ბაღებისთვის ეპიდემიის პირობებში მუშაობის რეგულაციების სხვადასხვა პაკეტის შემუშავება ე.წ. ზონალურობის (შუქნიშნის მოდელი[1]) პრინციპის გათვალისწინებით;

ბაღებისთვის შექმნილი რეგულაციების გადახედვის შემდეგ საჭიროა ჯანდაცვის სამინისტროსა და შრომითი უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებთან და დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავდეს რეკომენდაციების განსხვავებული პაკეტი სხვადასხვა ეპიდზონაში (მწვანე, ყვითელი, წითელი) მდებარე ბაღების ფუნქციონირებისთვის. ეს ხელს შეუწყობს, ნაცვლად საგანმანათლებლო პროცესის მთლიანად მუნიციპალიტეტში შეწყვეტისა, რეგიონებში არსებული ეპიდსიტუაციის შესაბამისად, ბაღებისადმი დიფერენცირებული მიდგომის განხორციელებას.

6. აუცილებელია ეპიდემიური სიტუაციის გამწვავების პერიოდში საკოორდინაციო საბჭოს მიერ საბავშვო ბაღების გახსნა-დახურვის გადაწყვეტილებისადმი დივერსიფიცირებული მიდგომის განხორციელება.

6.1. საკოორდინაციო საბჭომ ბაღების დახურვა-გახსნის საკითხის განხილვისას უნდა გამოიყენოს წერტილოვანი შეზღუდვების მიდგომა (ზონალურობის გათვალისწინებით). ამ თვალსაზრისით, აუცილებელია საკოორდინაციო საბჭოსა და მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია (მინიმუმ, საქართველოს მთავრობოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საშუალებით) რათა მოხდეს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

6.2. საკოორდინაციო საბჭომ გაითვალისწინოს ბაღების უწყვეტი ფუნქციონირების შესაძლებლობა საგანგებო სიტუაციაში მომუშავე მშობლების (სამედიცინო პერსონალი, პოლიცია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები და ა.შ.)

[1] Veileder om smittevern i barnehager under covid-19 utbruddet 2020 4. Utgave 28.09.2020

ბავშვებისათვის, და მოწყვლადი ჯგუფების (სპეციალური საჭიროებების მქონე, სიღარიბეში მცხოვრები და ა.შ) ბავშვებისთვის.

7. უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმებში ადრეული ასაკის ბავშვთა საკითხების ასახვა.
მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის, პანდემიის პირობებში მოქმედებისთვის ან განაახლონ არსებული გეგმები. ამ გეგმაში უნდა განისაზღვროს, საგანგებო სიტუაციებისა და პანდემიის პირობებში რა ფორმით მოხდება ადრეული ასაკის ბავშვთა და მათ ოჯახებზე ზრუნვა და როგორ მოხდება ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების უწყვეტობის შენარჩუნება.

8. საბავშვო ბაღების ეზოები სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.
8.1. მუნიციპალიტეტებმა უმოკლეს ვადებში უნდა გამოყონ თანხები, რათა მოხდეს საბავშვო ბაღების ეზოების ინფრასტრუქტურის შეცვლა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
8.2. იმ ბაღებისთვის, რომლებსაც არ აქვს ეზოები, უნდა განისაზღვროს მიმდებარე უსაფრთხო გარე სივრცეები, სადაც საგანმანათლებლო პერსონალი შეძლებს საგანმანათლებლო პროცესის ბაღის შენობის გარეთ გატანას.

9. საჭიროა 2021 წლის ბოლომდე მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ ბაღების კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფა.
პანდემიის პირობებში, როცა ინტერნეტის გამოყენების საჭიროება ძალიან მწვავედ დადგა, მნიშვნელოვანია, ბაღებში ჰქონდეთ საშუალება, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი როგორც ოჯახებთან კომუნიკაციის მიზნით, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. ამისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა უმოკლეს პერიოდში იზრუნონ საბავშვო ბაღების კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით უზრუნველყოფაზე.

10. მუნიციპალიტეტებმა უნდა შეასრულონ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება და იზრუნონ აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებაზე.
10.1. აუცილებელია 2021-2022 წელს მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ ბიუჯეტში თანხები აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებისთვის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდულის შესაბამისად, აგრეთვე საგანმანათლებლო პერსონალისთვის საჭირო სხვა ტრენინგებისთვის. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის შესაბამისმა უწყებამ უნდა შეისწავლოს აღმზრდელთა პროფესიული საჭიროებები, მოამზადოს უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიები და ამაზე დაყრდნობით დაგეგმოს ტრენინგები.
10.2. სასურველია, სკოლამდელი განათლების ბიუჯეტში გაჩნდეს ბაღის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების თანხები, როგორც ცალკე მუხლი და ეს იყოს პერსონალის მთლიანი სახელფასო ფონდის 1%-ზე არანაკლები თანხა.

11. უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს ბაღების პერსონალის გადამზადება, ერთი მხრივ, ოჯახებთან ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებების (მაგ.,კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის) გამოყენების, მეორე მხრივ, სოციალური დისტანციის პირობებში ბავშვების განვითარებისა და განათლების ხელშეწყობის ფორმებისა და განხორციელების სტრატეგიების მიმართულებით.

პანდემიის პერიოდში გამოჩნდა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და ინტერნეტის მოხმარების უნარების მნიშვნელობა საბავშვო ბაღების პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო პერსონალისთვის. როგორც კვლევამ აჩვენა, ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტი იყო ბავშვებთან და ოჯახებთან კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება. ამ გარემოების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებმა უმოკლეს ვადაში უნდა გამოყონ თანხები ბაღის პერსონალის ამ მიმართულებით გადამზადების და გაძლიერების მიზნით.

12. აუცილებელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისწავლოს პანდემიის გავლენა ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებასა და სასკოლო მზაობაზე.

განათლების სამინისტრომ 2021-2022 წლის განმავლობაში უნდა ჩაატაროს კვლევა, თუ რა გავლენა იქონია პანდემიის პერიოდმა ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებაზე, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და სასკოლო მზაობის ხარისხზე. კვლევის შედეგების საფუძველზე მნიშვნელოვანია შემუშავდეს რეკომენდაციები საბავშვო ბაღების, დაწყებითი კლასების პედაგოგებისა და მშობლებისათვის ბავშვების სამომავლოდ მხარდასაჭერად.

13. საჭიროა საბავშვო ბაღების მიერ განხორციელებული დისტანციური სწავლების ხარისხის შესწავლა და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეისწავლოს პანდემიის პერიოდში საბავშვო ბაღების მიერ განხორციელებული დისტანციური სწავლების შინაარსი და ფორმები და მათი შესაბამისობა როგორც ბავშვების განვითარების ასაკობრივ თავისებურებებთან, ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიზნებთან. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პერსონალისთვის მეთოდური მასალისა და რეკომენდაციების შემუშავება სამომავლოდ, საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური სწავლების ეფექტურად განხორციელებისთვის.

14. კარანტინის შემთხვევაში უნდა მოხდეს ოჯახების ორგანიზებული და თანმიმდევრული მხარდაჭერა არა მხოლოდ საკვები პროდუქტის კალათით, არამედ ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსით.

კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან ოჯახების ჰუმანიტარული დახმარება არათანმიმდევრულად მიმდინარეობდა. აუცილებელია, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა აღრიცხოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადრეული ასაკის ბავშვები, მათ შორის, ბაღს გარეთ დარჩენილი ბავშვები და ლოქდაუნის შემთხვევაში უზრუნველყოს ოჯახების შესაბამისი რესურსით მომარაგება. მოწყვლადი ოჯახებისთვის შესაძლებელია აგრეთვე ფინანსური დახმარების გაწევა.

15. საჭიროა, განათლების სამინისტრომ შექმნას საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა ადრეული ასაკის ბავშვების მშობელთა განათლებისა და მხარდაჭერის მიზნით.

15.1. კვლევამ ცხადყო, რომ პანდემიის პერიოდში შეიქმნა გარკვეული რესურსი ადრეული ასაკის ბავშვების მშობელთა გასაძლიერებლად როგორც საგანმანათლებლო ვიდეოების (ტელეგადაცემები, აღმზრდელების მიერ შექმნილი ვიდეოები), ასევე სხვადასხვა აქტივობის ონლაინ კრებულის სახით. მნიშვნელოვანია, რომ განათლების სამინისტრომ თავი მოუყაროს და გააზიაროს ეს რესურსები ერთიან ონლაინ პლატფორმაზე, რათა მშობლებმა, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად მოახერხონ საჭირო მასალის მოძიება.

15.2. აუცილებელია, რომ განათლების სამინისტრომ ხელი შეუწყოს ონლაინ პლატფომის პოპულარიზაციას.

16. აუცილებელია როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე მუნიციპალურ დონეზე რეგიონული ტელევიზიებისა და რადიოს გამოყენებით მოხდეს ადრეული განათლების სფეროს პოპულარიზაცია.

2021-2022 წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას ტელეგადაცემების სერია ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, ადრეული განათლების საკითხების განხილვა, გამოწვევებზე მსჯელობა, „პრაქტიკოსების ხმის“ გაჟღერება; მეორე მხრივ, მშობელთა ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების საკითხებთან დაკავშირებით.

17. უმოკლეს პერიოდში მუნიციპალიტეტებმა უნდა მოახდინონ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადრეული ასაკის ბავშვების იდენტიფიცირება.

მუნიციპალიტეტების შესაბამისმა სამსახურებმა, ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, უნდა აღრიცხონ თავინთ ტერიტორიაზე მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადრეული ასაკის ბავშვები, მათი საჭიროებების დადგენისა და შემდგომში შესაბამისად რეაგირების მიზნით.

18. საჭიროა, მუნიციპალურ დონეზე მოხდეს ფსიქოლოგიური დახმარების სერვისების შეთავაზება მშობლებისთვისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის.

საჭიროა, მუნიციპალურ დონეზე შეიქმნას ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისები ადრეული ასაკის ბავშვებისთვის და მათი მშობლებისათვის, რათა პროფესიონალები დაეხმარონ მათ იმ სტრესის დაძლევაში, რაც სახლში ჯდომას, პანდემიის საფრთხეებსა და ტრავმებს უკავშირდება.

2. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანი გახლავთ COVID-19 პანდემიის სისტემური გავლენის შეფასება სკოლამდელი განათლების სფეროზე საქართველოში. მსგავსი კრიზისული მდგომარეობა, საუკეთესოდ გვაჩვენებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც ამა თუ იმ სისტემაშია და განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს, როდესაც საკითხი ეხება ბავშვის განათლებასა და კეთილდღეობას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პანდემიის გავლენის შეფასება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და განზოგადება სამომავლო კრიზისული სიტუაციების ეფექტიანი მართვისა და გამკლავებისთვის. აქედან გამომდინარე, კვლევის ფოკუსირება მოვახდინეთ ბავშვის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე – სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უწყვეტობასა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილების ეფექტურობის შეფასებაზე.

კვლევის კონკრეტული ამოცანები შემდეგნაირად განისაზღვრა

1. COVID-19 პანდემიის დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბავშვისადრეული განვითარების ხელშემწყობი ნაბიჯების შესწავლა და ეფექტურობის შეფასება;
2. პანდემიის პირობებში საბავშვო ბაღების მართვის ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;
3. პანდემიის გავლენის შესწავლა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობაზე, ხარისხსა და ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერის საკითხებზე;
4. კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებისთვის კერძო და საჯარო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მზადყოფნის შესწავლა და პერსონალისა და ინფრასტრუქტურის მედეგობის შეფასება.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, სამინისტროების, სახალხო დამცველის, ადგილობრივი თვითმმართველობების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კვლევის თვისებრივი კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა რესპონდენტების პირდაპირი კავშირი საკვლევ საკითხებთან.

კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების და მშობლების გამოკითხვა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობის მიზნით მოწვევა გაეგზავნათ სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის[2] წევრ ბაღებსა და კერძო ბაღების წარმომადგენლებს. კითხვარი ონლაინ 600-მდე ბაღთან გაიგზავნა, კვლევისთვის ვარგისი აღმოჩნდა 470 შევსებული ანკეტა.

[2] საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაცია, შეიქმნა 2018 წელს და აერთიანებს საქართველოს 34 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შვიდასზე მეტ სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ასევე, გამოიკითხნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები (სულ 2413). მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარის გავრცელება მოხდა სოციალური ქსელისა და სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის წევრი ბაღების საშუალებით. მიღებული პასუხებიდან კვლევისთვის ვარგისი 2298 მშობლის პასუხები აღმოჩნდა.

გარდა ამისა, განხორციელდა სამაგიდო კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა:

- საკანონმდებლო დოკუმენტების კვლევას (რეგულაციებს, სტანდარტებს, უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებებს);
- მუნიციპალიტეტების სკოლამდელი განათლების დანახარჯების ანალიზს (10 მუნიციპალიტეტის მაგალითზე);
- საერთაშორისო პრაქტიკის კვლევას.

ასევე, ჩატარდა 4 ფოკუსჯგუფის შეხვედრა სკოლამდელი განათლებისა და ბავშვის ადრეული განვითარების სფეროს ექსპერტებთან, ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებთან.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ 470 ბაღში რეგისტრირებულია 40736 ბავშვი. გამოკითხული ბაღების 30% არის ქალაქში, ხოლო 70% – სოფლად ან დაბაში:



მშობელთა გამოკითხვა – სულ 2298, განაწილება ქალაქი-სოფელი:



კვლევის შეზღუდვები

მოცემულ კვლევას აქვს შეზღუდვები, აქედან გამომდინარე კვლევის შედეგების განხილვა ამ შეზღუდვების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

კვლევაში მონაწილეობის მისაღებად ელექტრონული კითხვარი გაეგზავნათ სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის წევრ ბაღებს გაერთიანებების საშუალებით, ამ გარემოებამ შესაძლებელია გარკვეული გავლენა იქონია ბაღების პასუხებზე. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მშობლების ელექტრონული კითხვარი, გარდა სოციალური ქსელით გავრცელებისა, კვლევაში მონაწილე ბაღების მშობლებს თავად ბაღების ან გაერთიანებების საშუალებით მიეწოდათ. ამ გარემოებამაც, შესაძლებელია, გარკვეული გავლენა იქონია მშობლების პასუხებზე.

ბაღების გამოკითხვაში უმეტესად მონაწილეობა მიიღეს საჯარო ბაღებმა, შესაბამისად კერძო ბაღების მოსაზრებები შედეგებში ნაკლებად არის ასახული და ბაღების გამოკითხვის შედეგების განზოგადება კერძო ბაღებზე ვერ მოხერხდება.

კვლევის ფარგლებში ვერ მოხდა პანდემიის განმავლობაში ბაღების მიერ დისტანციურად განხორციელებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კვლევა, რაც შემდგომი კვლევების საფუძველი უნდა გახდეს.

3. კვლევის მიგნებები

3.1.საკანონმდებლო მომიხილვა

3.1.1 სკოლამდელი განათლების სფერო – კანონმდებლობა

სკოლამდელი განათლების სფერო საქართველოში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“[3] საქართველოს კანონით რეგულირდება, რომელიც აღიარებს სკოლამდელ განათლებას როგორც საყოველთაო უფლებას. ბავშვის უფლება მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე განსაზღვრულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის წევრიც არის საქართველო:

- გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია[4];
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები[5];
- ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის[6].

აგრეთვე, 2017 წლიდან მოქმედებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული

[3] საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016 https://bit.ly/37Zn9Mv
[4] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 https://bit.ly/3gfilBG;
[5] გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, 2015 https://bit.ly/3k9nAcO;
[6] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 https://bit.ly/3y389I5;

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“[7], მათ შორის, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი და პროგრამის ხარისხის სტანდარტი, რომელიც სრულად აღწერს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პარამეტრებს.

2019 წელს პარლამენტმა მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის მე-5 თავი განათლებას ბავშვის უფლებად აღიარებს და სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის.[8]

სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლება და მისი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამავე დროს, კანონი არეგულირებს ცენტრალური მთავრობის, სხვადასხვა სამინისტროების პასუხისმგებლობის სფეროებს. კერძოდ, განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენს აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაცია, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგკურსების, სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა. აგრეთვე, სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის შემუშავება, შესაბამისი მეთოდური მასალების შექმნა. ჯანდაცვის სამინისტრო, რომელმაც შეიმუშავა კვებისა და ჰიგიენის სტანდარტი, ახორციელებს მისი განხორციელების მონიტორინგსა და კონტროლს, სურსათის უვნებლობის სამსახურის საშუალებით.

3.1.2. პანდემიის ქრონოლოგია

პანდემიის დაწყებასთან ერთად, 2020 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო #164 განკარგულება, ხოლო პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც სრულად იღებდა გადაწყვეტილებებს საქართველოში ვირუსის შეჩერების საკითხებზე[9]. 26 თებერვალს საქართველოში გამოვლინდა კოვიდის პირველი შემთხვევა. საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სასწავლო დაწესებულებებში არდადეგები დაწყებულიყო 2 მარტს 9 მარტის ნაცვლად და 1-ელ აპრილამდე გაგრძელებულიყო. შესაბამისად, ბაღები საქართველოს მასშტაბით დაიხურა 2020 წლის 2 მარტიდან.

20 მარტს გამოცხადდა, რომ მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით (20 მარტის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა), საქართველოს მასშტაბით, საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის აღდგენამდე, მშობლებს შეეძლოთ სახლში წაღება იმ არამალფუჭებადი პროდუქტებისა, რომლებიც მიმდინარე არდადეგების პერიოდში ბავშვთა კვებისთვის ბაღებში უნდა გამოყენებულიყო.

---

[7] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 2017 https://bit.ly/3gjd3uB;

[8] ბავშვის უფლებათა კოდექსი https://rb.gy/04q9xe

[9] საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ, https://rb.gy/b65get

21 მარტს საქართველოს მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის შემოღება სთხოვა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 1 თვით, 2020 წლის 21 აპრილამდე. შემდგომში, საგანგებო მდგომარეობა 10 მაისამდე გახანგრძლივდა.

30 მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში სკოლის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ტრანსლირება დაიწყო.

24 აპრილს საქართველოს მთავრობამ ეკონომიკის თანმიმდევრული ამოქმედების ექვსეტაპიანი გეგმა წარადგინა. გეგმა ეტაპებს შორის ორკვირიან ინტერვალებს ითვალისწინებდა, თუმცა შემდგომში მთავრობამ ეს ვადები დააჩქარა.

2020 წლის 5 აგვისტოს უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან ჩვეული რეჟიმით, საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში განახლდებოდა. ბრიფინგზე ეს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო სისტემის მუშაობის განახლების შესახებ განათლების მინისტრმა გამოაცხადა, საბავშვო ბაღები კი ნახსენები არ ყოფილა.

26 აგვისტოს უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ განაცხადა, რომ საჯარო და კერძო საბავშვო ბაღები საჯარო სკოლებში სწავლის დაწყებიდან (15 სექტემბერი) 2 კვირის ინტერვალით – 1-ელი ოქტომბრიდან გაიხსნებოდა. ამ დროს კოვიდის პირობებში საბავშვო ბაღების მუშაობისთვის რეგულაციები ჯერაც არ იყო შემუშავებული/გამოქვეყნებული და მუნიციპალიტეტებმა ჯერ არ იცოდნენ, რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბაღი ახალ ვითარებაში.

რეგულაციები საბავშვო ბაღებისთვის[10] გამოქვეყნდა 2020 წლის 31 აგვისტოს, რამაც მუნიციპალიტეტებს შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად ერთი თვე მისცა.

28 სექტემბერს საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბაღები გაიხსნებოდა 12 ოქტომბრიდან.

2020 წლის 12 ოქტომბერს ბაღები გაიხსნა საქართველოს მასშტაბით ყველგან, აჭარის რეგიონის გარდა, ხოლო 7 ნოემბრის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 9 ნოემბრიდან თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, გორსა და ფოთში დაიხურა როგორც მუნიციპალური, ისე კერძო საბავშვო ბაღები. 28 ნოემბრიდან 31 იანვრის ჩათვლით კერძო და საჯარო საბავშვო ბაღებმა შეწყვიტეს მუშაობა საქართველოს მასშტაბით (27 ნოემბრის გადაწყვეტილება).

2021 წლის 18 იანვარს უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ვაქცინაციის სამოქმედო გეგმა და ქვეყანაში მოქმედი შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნა განიხილა, ხოლო 22 იანვარს დაამტკიცა შეზღუდვების მოხსნის ეტაპობრივი გეგმა:

[10] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები

1-ელი თებერვლიდან თბილისის, ქუთაისის და რუსთავის გარდა, საქართველოში ყველგან სკოლები ამუშავდებოდა კლასებში დასწრებით (1 თებერვლამდე სკოლები ონლაინრეჟიმით მუშაობდა აგრეთვე ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ფოთსა და თელავში).

2021 წლის 1 მარტიდან განაახლა მუშაობა საქართველოს ყველა – კერძო და საჯარო ბაღმა.

დასკვნა: *როგორც ვხედავთ, საბავშვო ბაღები საქართველოს მასშტაბით, ისევე როგორც სკოლები, დაიხურა პანდემიის პირველივე დღეებში, 2 მარტს. შემდგომში, როცა ქვეყანამ გამოიარა პირველი ლოქდაუნი და დაიწყო შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა, მათ შორის, სკოლებისთვისაც, საბავშვო ბაღების გახსნის საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. პირველად ბაღები მხოლოდ აგვისტოს ბოლოს იქნა ნახსენები საკოორდინაციო საბჭოს მიერ. კოვიდის პირობებში საბავშვო ბაღების მუშაობის რეგულაციები კი მხოლოდ სექტემბრისთვის გამოცხადდა. პანდემიის ქრონოლოგია აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობისთვის ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები ბევრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე სკოლამდელი განათლება.*

3.1.3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები – შემუშავების პროცესი და მონაწილეობა

პანდემიის პირობებში ფუნქციონირებისთვის რეკომენდაციების გამოქვეყნება ჯანდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2020 წლის მაისიდან დაიწყო. 29 მაისს გამოქვეყნდა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება №01-227/ო – „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“.

ამ ბრძანების დანართები (სულ 41 დანართი) წარმოადგენს რეგულაციებს სხვადასხვა ბიზნესისთვის, რომლებიც ეტაპობრივად, შესაბამის ბიზნესებთან კონსულტაციისა და შეთანხმების გზით მუშავდებოდა.

დანართს N39 „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის“ ხელი 2021 წლის 31 აგვისტოს მოეწერა.

ეს დოკუმენტი არეგულირებს საბავშვო ბაღის სანიტარულ მდგომარეობას, კოვიდუსაფრთხოების დაცვის წესებს და პერსონალისა და სხვა პირთა ვალდებულებებს და შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- ზოგადი დებულებები;
- მოთხოვნები სამზარეულოს მიმართ;
- ჭურჭლის ხელით რეცხვა;
- დასუფთავება და დეზინფექცია;
- სანიტარული კვანძის დასუფთავება;
- თეთრეულის ჰიგიენური რეჟიმის დაცვის წესი;
- დასაქმებულთა/მესამე პირთა ვალდებულებები.

როგორც სათაურებიდანაც ჩანს, დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი სანიტარული უსაფრთხოების დაცვის წესები, როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის ოთახების, სანიტარული კვანძების, სამზარეულოს დალაგება და დეზინფიცირება, როგორ უნდა გაირეცხოს ჭურჭელი და თეთრეული. მოთხოვნილია ბავშვებისთვის ხელების დაბანის და/ან დეზინფიცირებისთვის პირობების უზრუნველყოფა.

პირველ ნაწილში – „ზოგადი დებულებები“ – რეგულირდება სასწავლო პროცესის უსაფრთხოება. მოთხოვნილია ყველა უფროსისთვის პირბადის ტარება და აკრძალულია მშობლების შეშვება საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე. მოთხოვნილია როგორც ბავშვების, ასევე მათი მშობლების/მეურვის და თანამშრომლების თერმოსკრინინგი შესასვლელში და გაწერილია პროცედურა იმ შემთხვევაში, თუ თერმოსკრინინგის დროს ან დღის განმავლობაში ვინმეს სიცხე დაუფიქსირდა.

მოთხოვნილია ბაღის მუშაობის განახლებამდე პერსონალის გადამზადება, რათა მათ შეძლონ უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და რეკომენდაციების შესრულება.

ბაღებს ევალებათ, შეიმუშაონ ბავშვების მიღების/გაშვების გრაფიკი, აგრეთვე საერთო სივრცეში მათი გაყვანის გრაფიკები.

რეკომენდებულია ხმარებიდან ყველა იმ სათამაშოს ამოღება, რომლის რეცხვა და დეზინფიცირება ვერ ხერხდება, სახლიდან სათამაშოს მოტანა იკრძალება.

აგრეთვე, რეკომენდებულია აქტივობების/თამაშების ჯგუფებში იმგვარად დაგეგმვა, რომ შეძლებისდაგვარად მოხერხდეს ფიზიკური დისტანცირების დაცვა. ასევე, ბავშვებისთვის გარე სივრცეში თამაშის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

საბავშვო ბაღებისთვის რეგულაციების შემუშავების პროცესი გაუმჭვირვალედ წარიმართა. ვერცერთმა ჩვენ მიერ გამოკითხულმა დაინტერესებულმა იურიდიულმა თუ კერძო პირმა ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება. მათ იმის დადგენაც კი გაუჭირდათ, თუ ვინ მუშაობდა ამ რეგულაციებზე და როდის იქნებოდა ისინი საზოგადოებისთვის ცნობილი. პროცესში ჩართვის სურვილი გამოხატა გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNISEF), World Vision-მა და Save the Children-მა, მაგრამ ვერც ამ და ვერც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აგრეთვე ვერც მუნიციპალიტეტებმა დოკუმენტის გამოქვეყნებამდე (2020 წლის 31 აგვისტომდე) ვერ მოიპოვეს ინფორმაცია.

„მივმართეთ ინიციატივით, რომ შექმნილიყო საკონსულტაციო ჯგუფი იმ ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებიც მუშაობენ სკოლამდელი განათლების მიმართულებით, რათა განათლების სამინისტროში დაორგანიზებულიყო შეხვედრა, რომ ჩვენც შეგვეტანა კონტრიბუცია ამ დოკუმენტის შემუშავებაში.“

დასკვნა: *კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ბაღებისთვის რეგულაციების შემუშავება სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობის გარეშე განხორციელდა. არ იყვნენ ჩართულნი არც განათლების სამინისტრო, არც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც, საბოლოოდ, თავად ამ დოკუმენტით ევალებათ ამ რეგულაციების აღსრულების უზრუნველყოფა.*

3.1.4. რეგულაციების შესრულება

როგორც კვლევამ აჩვენა, მიუხედავად რეგულაციების მოთხოვნისა, გამოკითხული ბაღების მხოლოდ 60%-ის პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგი, აქედან სპეციალისტებმა (შრომითმა ინსპექციამ, მოწვეულმა სპეციალისტმა) რეგულაციებთან დაკავშირებული ტრენინგი მხოლოდ 25% -თან ჩაატარეს. ანუ, ბაღების უმრავლესობამ ვერ მიიღო საჭირო ახსნა და კონსულტაციები/დახმარება სპეციალისტების მხრიდან, ამან გამოიწვია ბევრი გაუგებრობა და არარელევანტური გადაწყვეტილებების მიღება. რეგულაციების დაუფიქრებელმა შესრულებამ ხშირად აბსურდულ გადაწყვეტილებებამდე მიიყვანა ბაღის ადმინისტრაცია. მაგალითად, ერთჯგუფიანი ბაღების ნაწილს შემუშავებული აქვს წასვლა-მოსვლის და ჯგუფების ეზოში გაყვანის გრაფიკი, მაშინ როდესაც რეგულაციების პუნქტი – „შეიმუშავეთ საერთო სივრცეში (ეზო, დარბაზი და ა.შ.) ბავშვების გაყვანის გრაფიკი იმგვარად, რომ კონკრეტულ დროის მონაკვეთში სათამაშო მოედანზე ან სხვა საერთო სივრცეში ბავშვების მცირე ჯგუფმა ითამაშოს/დაისვენოს“ – გათვალისწინებულია მრავალჯგუფიან ბაღებში ჯგუფების დაშორიშორებისთვის და ერთჯგუფიანი ბაღისთვის აზრს კარგავს.

აგრეთვე, არაერთგვაროვანი მიდგომა გამოიწვია რეგულაციების შემდეგმა მოთხოვნამ – „შეადგინეთ გეგმა ჯგუფების ოთახებისა და ოთახებში ბავშვების რაოდენობის შესახებ“. ეს პუნქტი ფორმალურად თითქმის ყველგან შესრულდა, თუმცა ბაღებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა გეგმის მიზანი და არც შედეგი მოჰყოლია.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვანაირად იქნა გაგებული, რომელი სახის საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს ხმარებიდან ამოღებული და რომლის დატოვებაა დაშვებული. ყველამ ინდივიდუალურად გადაწყვიტა, მაგალითად, შეიძლება თუ არა წიგნების დატოვება ჯგუფში.

რეგულაციების ის ნაწილი, რომელიც ეხება სანიტარულ პირობებს (დეზინფიცირება, ხელების დაბანა, თერმოსკრინინგი, პირბადის ტარება და ა.შ.), თითქმის ყველგან შესრულდა დამაკმაყოფილებლად. ზოგან (გამოკითხული ბაღების 7%-ში) შეიქმნა გარკვეული სირთულეები ცხელების ოთახის გამოყოფასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ბაღების მცდელობისა, ყველა რეგულაციის შესრულება ვერ მოხერხდა. გამოკითხული ბაღების მხოლოდ 15% მიიჩნევს, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებადია. კვლევაში მონაწილე ბაღების მიერ ყველაზე რთულად შესასრულებელ და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ხელისშემშლელ რეგულაციად დასახელდა ბავშვებს შორის დისტანციის დაცვის მოთხოვნა (56%), ბავშვებს შორის ნივთების გაცვლის აკრძალვა (42%) და აღმზრდელის მიერ პირბადის ტარება მთელი დღის განმავლობაში (41%):



3.1.5. საბავშვო ბაღებისთვის შემუშავებული რეგულაციების თავსებადობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან

რეკომენდაციების „ზოგად ნაწილში“, რომელიც მოწოდებულია, დაარეგულიროს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, არის მოთხოვნები, რომლებიც საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო ფუნქციას ეწინააღმდეგება. აგრეთვე, ყურადღების მიღმა დარჩა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური/ასაკობრივი თავისებურებები. ამას ადასტურებს კვლევაში მონაწილე თითოეული ექსპერტი და სკოლამდელი განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.

„ბევრი წესი არის ექსპლიციტურად გამოტანილი, რომელიც არათუ ვერ ეთანხმება, არამედ ეწინააღმდეგება და სრულ ოპოზიციაში მოდის სკოლამდელი განათლების კანონის ფარგლებში შექმნილ პროგრამის მომსახურების სტანდარტებთან, მაგალითად ეს ეხება მშობლების ჩართულობის ნაწილს, რესურსების გაზიარების ნაწილს ბავშვებთან მიმართებაში. ასევე ტრანზიციის კომპონენტსაც დაარტყა ამ პროცესმა“. – ***გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი.***

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რეგულაციების შესაბამისობა პროგრამის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტთან და ბავშვის განვითარების სტანდარტის მოთხოვნებთან შეფარდებით.

რეგულაცია	პროგრამის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტი	ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტი
„აქტივობები/თამაშები ჯგუფებში დაგეგმეთ იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად მოახერხოთ ფიზიკური დისტანცირების დაცვა“.	1. სტანდარტი – თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. ა) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს და წაახალისებს ბავშვებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას (მაგალითად: ჯგუფში ჩართვა, დამეგობრება, გაზიარება და სხვა); გ) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს ჯგუფის ერთობის შექმნას; დ) თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა მეწყვილესთან თამაშის შესაძლებლობა. **მუხლი 16. მიმართულება – ურთიერთობა**	• სხვა ბავშვებთან ერთობლივი თამაშის წამომწყება, ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს მათთან თამაში. • უერთდება სხვადასხვა თამაშით დაკავებული ბავშვების ჯგუფს. **ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება:** **ა.ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას**
სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება არის საბავშვო ბაღის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნაა, ბავშვებს შორის ინტერაქცია – თამაში, როგორც წყვილებში, ასევე უფრო დიდ ჯგუფებად. თავისუფალი თუ წესებიანი თამაშები ადრეულ ასაკში საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ინსტრუმენტია, რომლის არსენალიდან ამოღება საბავშვო ბაღის ფუნქციონირებას აზრს უკარგავს. ამასთან, ფიზიკური დისტანციის დაცვის მოთხოვნის შესრულება სკოლამდელი ასაკის ჯგუფში ფაქტობრივად შეუძლებელია.		
„უზრუნველყავით ბავშვებისთვის ფანქრების, მაკრატლებისა და სხვა საშუალებებისთვის ინდივიდუალური ყუთების შექმნა ისე, რომ სახელოვნებო/გასართობი საქმიანობის დროს თითოეულმა გამოიყენოს მისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ყუთი“.	1. სტანდარტი – თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. ა) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს და წაახალისებს ბავშვებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას (მაგალითად, ჯგუფში ჩართვა, დამეგობრება, გაზიარება და სხვა); **მუხლი 16. მიმართულება – ურთიერთობა**	თანატოლებს სათამაშოებსა და სხვა საგნებს მზრუნველის დახმარებით უყოფს და უნაწილებს. **ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება** **ა.ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას**
სოციალური უნარების განვითარება, მათ შორის, მეგობრისთვის საკუთარი ნივთის გაზიარების უნარის განვითარება, არის აღმზრდელის და მთლიანად, სააღმზრდელო პროცესის, მნიშვნელოვანი ამოცანა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბაღის კურიკულუმით „სახელოვნებო საქმიანობა“ ხშირად საერთო ჯგუფური აქტივობაა და არა ინდივიდუალური.		

რეგულაცია	პროგრამის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტი	ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტი
„სათამაშო სივრცეებსა და ბავშვთა განთავსების ადგილებში უზრუნველყავით მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება იმგვარად, რომ მაგიდებს შორის, ასევე მაგიდასთან განთავსებულ პირთა შორის, ისევე როგორც დასაჯდომ ადგილებს შორის დაიცვათ უსაფრთხო მანძილი“.	**2. სტანდარტი – დაწესებულების შიდა და გარე სივრცე მოწყობილია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგიისა და კურიკულუმის მიზნების შესაბამისად.** ა) დაწესებულების სივრცეში ავეჯის განლაგება განხორციელებული მეთოდოლოგიის შესაბამისია; ბ) საგანმანათლებლო რესურსი და სივრცეში მისი ორგანიზება განხორციელებული მეთოდოლოგიის შესაფერისია; დ) სივრცის მოწყობის პრინციპი ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ და ჰოლისტურ განვითარებას. **4. სტანდარტი – დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები იმგვარადაა გააზრებული და მოწყობილი, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი საქმიანობების განხორციელებას თითოეული ბავშვის მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარებისთვის.** ბ) დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები სხვადასხვა ტიპის საქმიანობების ჩატარების საშუალებას იძლევა. **მუხლი 15. მიმართულება – ფიზიკური გარემო**	

სკოლამდელი განათლების არცერთი თანამედროვე მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს მთელი დღის განმავლობაში მაგიდებთან ბავშვის განცალკევებით ჯდომას. ბავშვები დღის განმავლობაში თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდნენ ოთახში, სადაც მათთვის მოსახერხებლად უნდა იყოს განლაგებული სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი (სათამაშოები, წიგნები, სამხატვრო მასალა, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ). მართალია, ზოგჯერ შესაძლოა ბავშვები სხედან მაგიდებთან, მაგალითად, სამაგიდო თამაშების დროს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათ შორის დისტანციის დაცვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შეიძლება მივიჩნიოთ არარელევანტურად საბავშვო ბაღისთვის.

რეგულაცია	პროგრამის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტი	ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტი
„ხმარებიდან ამოიღეთ ისეთი სათამაშოები, რომელთა რეცხვა და დეზინფიცირება ვერ ხერხდება“.	**3. სტანდარტი – დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანი, განმავითარებელი, თითოეული ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისია.** ა) ჯგუფის საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას; ბ) საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანია, გულისხმობს როგორც მზა, ისე – ბუნებრივ, ხელნაკეთ და მეორად მასალებს. **მუხლი 15. მიმართულება – ფიზიკური გარემო**	
წიგნები, ბუნებრივი და მეორადი მასალები, სენსორული განვითარებისთვის აუცილებელი სათამაშოები/მასალები და სხვა საგანმანათლებლო რესურსი მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. აკრძალვა (ხმარებიდან ამოღება), ყველაზე მარტივი მეთოდია, თუმცა ბაღის მუშაობისთვის ხელისშემშლელი. მიზანშეწონილია სხვა მიდგომის გამოყენება, მაგალითად, წიგნების და მასალების „კარანტინის“ ორგანიზება.		
„არ დაუშვათ საბავშვო ბაღის შენობაში გარეშე პირების (მათ შორის, მშობელთა/მეურვეთა) შესვლა“.	2. სტანდარტი – ოჯახს აქვს საშუალება პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში აქტიურად ჩართვისა როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე – მის ფარგლებს გარეთ. ა) დაწესებულების თანამშრომლები წაახალისებენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პროგრამის ფარგლებში ბავშვებს გაუზიარონ საკუთარი პროფესიული ცოდნა, უნარები, ინტერესები, კულტურა; დ) თითოეული ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია ბავშვთან ერთად ყოფნა ტრანზიციისას (მაგ., სასწავლო წლის დასაწყისში, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადასვლის შემდეგ). **მუხლი 18. მიმართულება – ოჯახისა და თემის მონაწილეობა**	
ამ რეგულაციის გამოყენება დაუშვებელია ბაღში პირველად მისული ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის (ადაპტაციის პერიოდი). 2-3 წლის ბავშვი, რომელიც ბაღში მოსვლამდე მუდამ იმყოფებოდა მშობლებთან, ოჯახურ გარემოში, არ შეიძლება უცებ მოსწყვიტო დედას/ოჯახს და მოათავსო სრულიად უცნობ, ახალ გარემოში, უცნობ, პირბადეებით შენიღბულ ადამიანებთან. ეს შეიძლება გახდეს ამ ბავშვისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი.		

რეგულაცია	პროგრამის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტი	ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტი
გარდა ამისა, არის სხვა სიტუაციებიც, როდესაც ბავშვს ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ესაჭიროება მშობლის/მეურვის დახმარება. მაგალითად, ხშირად შშმ ბავშვის დასწრება ბაღში შესაძლებელია მხოლოდ მშობლის/მეურვის დახმარებით. ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში, დაშვებულია მშობლის შესვლა ბაღში ბავშვის ადაპტაციის პერიოდის დროს. ნორვეგიაში მშობლების შესვლაზე შეზღუდვა საერთოდ არ არის. რეგულაციებით უპირობო აკრძალვის დაწესება, მით უფრო, უმცროსი ასაკის აღსაზრდელებისთვის მშობლის დაუშვებლობის შესახებ, თავისთავად გამორიცხავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებას, მიუხედავად ჯანმრთელობის რისკებისა. ვინაიდან, ბავშვის ემოციური კეთილდღეობის დაცვის ვალდებულება თანაბარმნიშვნელოვანი ფასეულობაა ყველა იმ ინსტიტუციისა და პირისთვის, ვინც ბავშვთან მუშაობს.		
„უზრუნველყავით პერსონალისა და სხვა პირების (გარდა ბავშვებისა) შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ნიღბით“.		**ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება: არავერბალური კომუნიკაცია** (ბავშვი) სწორად აღიქვამს არასიტყვიერ ნიშნებს: სახის გამომეტყველებასა და ჟესტებს (მაგ., მოსაუბრეს სახეზე აწერია უკმაყოფილება). **ა.ბ.ბ) ბავშვი ამჟღავნებს ემოციურ კომპეტენციებს:** » ამჩნევს და ასახელებს სხვების ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას). » თავის მსჯელობასა და გამოხატულ ემოციას სახის გამომეტყველებას უსადაგებს.
ბავშვის უფროსებთან ურთიერთობა, ენის ათვისება, ემოციების აღქმა იწყება სხეულის ენის და სახის მიმიკის წაკითხვის უნარის განვითარებით. ბავშვმა ჯერ სიტყვების მნიშვნელობა არ იცის, მაგრამ უკვე ესმის, რას ეუბნებიან, როგორია მშობლის (უფროსის) განწყობა. საბავშვო ბაღში, ახალ გარემოში, ახალ უფროსებთან, ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხედავდეს, რომ უფროსი მისდამი კეთილგანწყობილია, უღიმის, გამოხატავს სიყვარულს. თუ ამ უფროსის სახე პირბადით არის დაფარული, ბავშვი მის ემოციას ვერ ხვდება, იბნევა და უფროსიც ვერ ამყარებს მასთან ურთიერთობას, ვერ მოიპოვებს მის ნდობას. ჩვენ მიერ შესწავლილ ევროპის ქვეყნებში აღმზრდელს ჯგუფში პირბადის ტარების ვალდებულება არ აქვს.		

დასკვნა: *ზემოაღნიშნული რეგულაციების შემუშავების პროცესში სკოლამდელი განათლების სპეციალისტები არ იყვნენ ჩართული. შედეგად, ეს რეგულაციები არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო სტანდარტებთან და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიზნებთან. ეს კი ნიშნავს, რომ ამ რეგულაციების შესაბამისად მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხი დაბალია და საბავშვო ბაღი ვერ ასრულებს თავის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ფუნქციას. მეტიც, რეგულაციების მკაცრი შესრულების მოთხოვნამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ბავშვების, განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვების, ფსიქიკურ ჯანმრთელობას.*

3.2 პანდემიის მართვა და სკოლამდელი განათლება

3.2.1 საკოორდინაციო საბჭო/მთავრობა. კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული პოლიტიკა (არ არსებობს შესაბამისი დადგენილებები, დოკუმენტები) საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით პანდემიის პირობებში. ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ განხილული პერიოდის განმავლობაში საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ მომხდარა საბავშვო ბაღების საკითხის დაყენება/განხილვა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების ჭრილში. საკოორდინაციო საბჭოს წევრების ბრიფინგებზე გამოსვლებიდან, ასევე ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ არცერთი მათგანი არ განიხილავს საბავშვო ბაღს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას და მის ფუნქციად მხოლოდ მშობლის დახმარებას მიიჩნევს. თუმცა, არც ეს ფუნქცია (მშობლის დახმარება) იყო გათვალისწინებული – არ განხილულა კარანტინის დროს ბაღების უწყვეტი მუშაობის შესაძლებლობა ექიმების, პოლიციელების თუ პანდემიის დროს მომუშავე სხვა სპეციალობების მშობლებისთვის ან/და კომპენსაციის გაცემის საკითხი იმ დედებისთვის, რომელთა ბავშვებისთვის ბაღი დაიხურა. აგრეთვე, არ განხილულა სსსმ/შშმ ბავშვებისთვის ბაღის/მომსახურების ცენტრების უწყვეტი ფუნქციონირების საკითხიც. არც სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მაგალითად, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისთვის, არ შემუშავებულა განსხვავებული მიდგომა. არ განხორციელდა კერძო საბავშვო ბაღების რაიმე ტიპის მხარდაჭერა კრიზისული პერიოდის განმავლობაში.

განხილულ პერიოდში სკოლამდელი განათლების სისტემის მართვის ერთადერთი გზა, რომელიც აირჩა ცენტრალური მთავრობის/საკოორდინაციო საბჭოს მიერ, იყო საბავშვო ბაღების საყოველთაო დახურვა. ერთი გამონაკლისის გარდა (როცა დიდი ქალაქების ბაღები დაიხურა 2 კვირით ადრე), არ მიიღებოდა მხედველობაში არც ზონალური (გეოგრაფიული) სიტუაცია – „მწვანე“ ზონაშია ბაღი თუ „წითელში“ კოვიდთან დაკავშირებით, არც ბაღის სიდიდე - არის ეს ხუთბავშვიანი ბაღი მთიან სოფელში თუ 800 ბავშვიანი – დედაქალაქში, რეგულაციები ყველასთვის საერთოა.

ამავე დროს, გამოკითხული მშობელთა 95% თვლის, რომ საბავშვო ბაღი მნიშვნელოვანია მათი ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ბაღებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს (გახსნა/დახურვა, რეგულაციები) ცენტრალური მთავრობა/საკოორდინაციო საბჭო იღებდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან კონსულტაციების გარეშე და არ უტოვებდა მათ არჩევანის თუ საკუთარი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციები (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის) არის, ფაქტობრივად, ერთადერთი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლამდელი განათლების სფეროს მუშაობას პანდემიის პირობებში. ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ განათლების სამინისტრო არ მონაწილეობდა ამ დოკუმენტის შემუშავებაში და საჯაროდ არ გაუკეთებია კომენტარი რეგულაციების

გამოქვეყნების შემდგომაც, თუმცა საბავშვო ბაღებისთვის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა სწორედ განათლების სამინისტროს ფუნქციაა. არც 2021 წელს, როდესაც უკვე გაცილებით მეტი იყო ცნობილი კოვიდის თვისებებისა და გავრცელების გზების შესახებ, ვიდრე პანდემიის დასაწყისში, განათლების სამინისტროს არ დაუყენებია რეგულაციების გადახედვის, გაუმჯობესებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარებთან შესაბამისობაში მოყვანის ინიციატივა/მოთხოვნა.

განათლების სამინისტროს არანაირი მეთოდოლოგიური მითითებები, სახელმძღვანელო, ბეჭდური თუ ვიდეომასალა არ შეუქმნია ბაღების აღმზრდელების დასახმარებლად პანდემიის პირობებში ადრეული ასაკის ბავშვებთან სამუშაოდ. ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაციების შემუშავება იმ ბაღებისთვის, რომლებმაც გადაწყვიტეს ეწარმოებინათ დისტანციური სწავლება, ვინაიდან სკოლამდელ ასაკში სწავლების ორგანიზების ფორმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

კვლევით არ გამოკვეთილა, აგრეთვე, მუნიციპალიტეტებში განათლების სამინისტროს წარმომადგენლების – ადგილობრივი რესურსცენტრების სპეციალისტების საქმიანობა. ისინი არ თანამშრომლობდნენ ბაღებთან და ოჯახებთან/თემთან, არ აწარმოებდნენ რაიმე სახის მხარდამჭერ საგანმანათლებლო საქმიანობას.

„ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი შეიძლებოდა დაძრულიყო პანდემიის პროცესის გამოყენებით, უნდა გამოყენებულიყო დრო და რესურსი განათლების სამინისტროსა და მუნიციპაიტეტების მხრიდან. სანამ თანამშრომლები იყვნენ სახლებში, აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგმოდული ჩატარებულიყო, მაშინ როცა ბავშვებთან არ უწევდათ ყოფნა, ეს დრო გამოყენებულიყო პროფესიული განვითარებისთვის.“

განათლების სამინისტრომ დროულად ვერ დაამტკიცა აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების ტრენინგის ონლაინ მოდული, რის გამოც მუნიციპალიტეტებმა ვერ შეძლეს, გამოეყენებინათ დრო და დაზოგილი თანხები აღმზრდელთა გადასამზადებლად.

3.2.2. სიტუაციის მართვა ადგილობრივ დონეზე

კვლევამ აჩვენა, რომ ყველა მუნიციპალიტეტი უპირობოდ ასრულებდა ცენტრალური ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა, არცერთ მათგანს არ მიუმართავს წინადადებით საკოორდინაციო საბჭოსთვის, შეეცვალათ გადაწყვეტილება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ან მიეცათ მუნიციპალიტეტისთვის უფლება რეკომენდაციების დივერსიფიცირებული გამოყენებისა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში და/ან სხვადასხვა სახისა და ზომის ბაღებში. შემთხვევები, რომელიც ჩვენი კვლევისას გამოჩნდა, თვითმმართველობის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების შესახებ, ეხებოდა მხოლოდ საკუთარ მუნიციპალიტეტში ყველა ბაღის დახურვას.

2020 წლის მარტიდან სექტემბრამდე ყველა მუნიციპალიტეტი ელოდებოდა ბაღების მუშაობისთვის რეგულაციების გამოქვეყნებას და ადგილობრივ დონეზე არ ყოფილა მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მუნიციპალიტეტების ნახევარში გაკეთდა ბაღების შენობების დეზინფექცია (გამოკითხული ბაღების 50%), რამდენიმე მუნიციპალიტეტმა დაარიგა პირბადეები (20%) და დისტანციური თერმომეტრები (7%), ბაღების ნაწილს დახმარება საერთოდ არ მიუღია (გამოკითხული ბაღების 10%).



3.2.3 ბაღების ფუნქციონირება და რეგულაციების შესრულება. მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ ბაღების გახსნისთვის მზადება სექტემბერში რეგულაციების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო, როდესაც სასწავლო წლის დაწყებამდე ძალზე ცოტა დრო რჩებოდა. ეს მზადება, მეტწილად, გამოიხატა ისევ სადეზინფექციო ხსნარებისა და პირბადეების დარიგებასა და ცხელების ოთახების მოწყობაში. აგრეთვე, შემუშავდა ბავშვების მიღების და სახლში გაშვების პროცედურა და გრაფიკი, ზოგან მოეწყო ცალ-ცალკე შესასვლელები ჯგუფებისთვის და შემუშავდა ეზოში გასვლის გრაფიკები.

გამოკითხული ბაღების 26%-ში (120 ბაღი) ბავშვთა რაოდენობა ჯგუფში სკოლამდელი განათლების კანონით განსაზღვრულ ზემო ზღვარზე (30 ბავშვი) მეტია, 55%-ში (259 ბაღი) ბავშვთა რაოდენობა ჯგუფში 15-დან 30-მდეა, ხოლო 19%-ში (91 ბაღი)15-ზე ნაკლები:



ეს განაწილება განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის ბაღებისათვის:





რაც მიგვითითებს იმაზე, რომ სოფელში ბაღი, როგორც წესი, უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ქალაქში, თუმცა ეს განსხვავებები არსად არ იქნა გათვალისწინებული. დიდ ბაღებში, განსაკუთრებით, დედაქალაქში, რეალურად ვერ განხორციელდა ჯგუფების ერთმანეთისგან იზოლირება.

გამოკითხვაში მინაწილე თბილისის ბაღების 62.5%-ში ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა 30-ს აღემატება, 16%-ში კი ჯგუფში 40 და მეტი ბავშვია. კოვიდის შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, თბილისის ბაღი იხურება 2 კვირით, განსხვავებით იმ მუნიციპალიტეტების ბაღებისგან, სადაც ჯგუფები იზოლირებულია და ანალოგიურ შემთხვევაში, ხდება მხოლოდ ერთი ჯგუფის დახურვა (მაგალითად, რუსთავის მუნიციპალიტეტში).

თბილისში, სადაც ბაღების აბსოლუტური უმეტესობა დიდია (რამდენიმე ჯგუფიანი და ჯგუფში 30-ზე მეტი ბავშვია), გამოკითხული ბაღების 30% (3485 ბავშვი) დაიხურა თანამშრომლის კოვიდით დაავადების გამო. შედარებისთვის, ყველა გამოკითხული ბაღიდან, სადაც პატარა ჯგუფებია (16 ბავშვამდე) იმავე მიზეზით დაიხურა მხოლოდ 4%.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანება არ ასახელებს ჯგუფების გადატვირთულობას და მათი ურთიერთიზოლირების შეუძლებლობას საკუთარი პრობლემების ჩამონათვალში.

რეგულაციების მოთხოვნის მიუხედავად, თითქმის არსად (ერთი-ორი მუნიციპალიტეტის გარდა) არ მოხდა ეზოების შესაბამისი მოწყობა და ბაღის მუშაობის გადაწყობა ისეთნაირად, რომ ბავშვებს მეტი დრო გაეტარებინათ ჰაერზე; აგრეთვე, მუნიციპალიტეტებში (თბილისის გარდა) ვერ მოხერხდა ყველა ბავშვისთვის რეგულაციებით მოთხოვნილი პერსონალური სამხატვრო-სახელოვნებო საშუალებების შეძენა. ზოგან (მაგალითად, თელავში) არსებული რესურსი გადაანაწილეს ბავშვებს შორის, რის შედეგად, ყოველ ბავშვს შეხვდა 3-4 ფანქარი და რამდენიმე ქაღალდის ფურცელი, რაც ხელოვნების აქტივობების საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისთვის სრულიად შეუსაბამოა.
ბაღების გაერთიანებების უმრავლესობას მიაჩნია, რომ რეგულაციები არ არის მორგებული საბავშვო ბაღის სპეციფიკასა და მიზნებზე. იმ გამოკითხული ბაღების, რომლებიც სრულად

გაიხსნა ახალი რეგულაციების პირობებში, 7% აცხადებს, რომ ასეთი რეგულაციების პირობებში მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო 55% ამბობს, რომ მუშაობაში ხელი ეშლებათ. ბაღების 38% კი აცხადებს, რომ პროცესი ძველებურად წარიმართება[11].



3.2.4. დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. როგორც აღინიშნა ერთი წლის განმავლობაში, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე, ბაღებმა 4-6 კვირის განმავლობაში იმუშავეს (აჭარის რეგიონის გარდა, სადაც ამ პერიოდში საერთოდ არ გახსნილან).

როგორ გამოიყენეს ეს პერიოდი ადგილობრივმა თვითმმართველობებმა სკოლამდელი განათლების ხარისხის ხელმისაწვდომობის თუ უსაფრთხოების ასამაღლებლად?

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლის თაობაზე მუნიციპალიტეტს, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა მიეღო გადაწყვეტილება, არის ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შემცირება (ზედა ზღვრის დადგენა). ეს მოთხოვნა რეგულაციებში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ აქ პასუხისმგებლობა მთლიანად ადგილობრივ ხელისუფლებაზეა.

ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის შემცირება ძალზე მნიშვნელოვანია იმ მუნიციპალიტეტებში/ბაღებში, სადაც ჯგუფები გადატვირთულია და, ამავე დროს, ჯგუფების ერთმანეთისგან იზოლირება ვერ მოხერხდა. ასეთ ბაღებში კოვიდის შემთხვევის დადასტურებისას ბაღი სრულად იხურება და ორი კვირის განმავლობაში ბავშვები რჩებიან ბაღის გარეშე (თბილისის შემთხვევაში, ეს არის 300-დან 800-მდე ბავშვი ერთ ბაღში).

აგრეთვე, ბევრგან ვერ მოხერხდა ყოველ ჯგუფზე საკუთარი პერსონალის მიმაგრება და მათი ერთმანეთისგან იზოლირება. ხშირად, მაგალითად, მუსიკის მასწავლებელი რამდენიმე ჯგუფში შედიოდა რიგ-რიგობით, როგორც ეს პანდემიამდე ხდებოდა.

სხვა ქვეყნების გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ჯგუფში ბავშვთა რაოდენობის შემცირება და ამ ჯგუფების ერთმანეთისგან იზოლირება, ასევე თითოეულ ჯგუფზე მიმაგრებული

[11] შენიშვნა: აქ ანკეტის პასუხი არ არის ცალსახა, სიტყვები „პროცესი ძველებურად წარიმართება“ შეიძლება ნიშნავდეს, რომ რეგულაციები მხედველობაში ნაკლებად მიიღება

თანამშრომლების ერთმანეთისგან იზოლირება, არის ერთ-ერთი მთავარი და საყოველთაოდ მიღებული რეკომენდაცია. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი – ეს არის ბავშვების კონტინგენტის გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შემცირება, დასწრების გრაფიკის ან ცვლების შემოღება, ჰიბრიდული სწავლება და სხვა. შესაბამისი რეკომენდაციები – თუ როგორ შეიძლება განვახორციელოთ ეს პრაქტიკულად – დაწვრილებით არის განხილული სახელმძღვანელოში „ბაღები პანდემიის დროს“, რომელიც 2020 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision საქართველომ. კვლევა აჩვენებს, რომ ეს გამოცდილება და რეკომენდაციები გამოყენებული არ იქნა.

სერიოზული გამოწვევა მუნიციპალიტეტებისთვის იყო ბაგის (უმცროსი ჯგუფის) მიღების/მუშაობის ორგანიზების საკითხის გადაწყვეტა. 2020 წლის ოქტომბერში ბაღებმა ახალი ბავშვების ნაკადი რეგულაციების შესაბამისად მიიღეს. რაც ნიშნავს, რომ სახლიდან ბაღში ტრანზიციის პერიოდში 2-3 წლის ბავშვებს არ ჰქონდათ საშუალება, მიეღოთ მშობლის/მეურვის დახმარება. ტრანზიცია მშობლის მხარდაჭერის გარეშე ხშირად ხდება სტრესის და ფსიქოლოგიური ტრავმების მიზეზი. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტებმა არაფერი გააკეთეს პრობლემის გადასაწყვეტად, მიუხედავად იმისა, რომ არჩევანი არსებობდა – გამონაკლისის დაშვება ტრანზიციის პერიოდში ან საკითხის რადიკალური გადაწყვეტა – უმცროსი ჯგუფი ბაღებს არ მიეღოთ, ხოლო გამოთავისუფლებული სივრცე და პერსონალი გამოყენებული ყოფილიყო უფროს ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შესამცირებლად.

მუნიციპალიტეტები უპირობოდ ასრულებდნენ ცენტრალური მთავრობის/საკოორდინაციო საბჭოს დადგენილებებს ყველა მუნიციპალიტეტში ყველა ბაღის ერთობლივად დახურვისა თუ გახსნის შესახებ. მათ არ წამოუწევიათ საკითხი თავიანთ ტერიტორიაზე წერტილოვანი შეზღუდვების შესახებ, რათა კოვიდუსაფრთხო ზონებში ბაღების ნაწილისთვის მაინც მიეცათ თავისუფლად ფუნქციონირების საშუალება. შესაძლებელი იყო აგრეთვე მუშაობის სხვადასხვა ფორმატის გამოყენება – ნახევარი დღე, კვების გარეშე, მხოლოდ შენობის გარეთ და ა.შ. საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან მსგავსი წინადადებების შეთავაზების შემთხვევაში, ისინი საკოორდინაციო საბჭოს მიერ აუცილებლად იქნებოდა განხილული.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ მიუღია გადაწყვეტილება ბაღების პერსონალის ტესტირების თაობაზე სასწავლო წლის დაწყებისთვის (გამოკითხული ბაღების მხოლოდ 30% პერსონალი იქნა ტესტირებული ოქტომბერში ბაღის გახსნისთვის), არ იქნა მიღებული სპეციალური დადგენილებები რისკჯგუფში მყოფი პერსონალისთვის, რომელიც გამოკითხული ბაღების მთელი პერსონალის სულ 9% -ია.

სპეციალური ყურადღების გარეშე დარჩნენ ასევე სსსმ და შშმ ბავშვები. არანაირი სპეციალური დახმარება ამ ბავშვებისთვის ან მათი ოჯახებისთვის მუნიციპალიტეტებს არ გაუწევია. სსსმ და შშმ ბავშვებისთვის არ ყოფილა შემუშავებული სპეციალური პროგრამები/მიდგომები, ეს საკითხი ბაღების და მუნიციპალიტეტების მხრიდან საერთოდ არ განხილულა, მეტიც, ბაღების 74%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ ჰყავთ სსსმ ბავშვები.

კარგი პრაქტიკა

პანდემიის დასაწყისში ორგანიზაციამ World Vision საქართველო თავის სამიზნე თემებში მუნიციპალიტეტისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მოახდინა ინფორმაციის მოძიება ბავშვებზე ყველაზე მოწყვლადი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, შეზღუდული შესაძლებლობებისა და განვითარების შეფერხების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ, რომ ამ ბავშვების მდგომარეობა არ გაუარესებულიყო. ორგანიზაციამ მოიწვია ნუტრიციოლოგი, რომელთან ერთადაც მოხდა პროდუქტების სამი პაკეტის შემუშავება და სამიზნე ოჯახებისთვის სასურსათო კალათის მიწოდება პანდემიის პირველი ტალღის დროს სამი თვის განმავლობაში (აპრილი-ივნისი) და მეორე ტალღის დროს – ნოემბერში.

მთელი წლის განმავლობაში განვითარებაში მხარდაჭერის გარეშე დარჩენა სსსმ და შშმ ბავშვებისთვის შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

მუნიციპალიტეტების დიდმა ნაწილმა (გამოკითხული ბაღების 72%) მიიღო გადაწყვეტილება, ეწარმოებინა დისტანციური სწავლება, 10%-მა ჩათვალა, რომ ასეთი სწავლება სკოლამდელ ასაკში არ არის მიზანშეწონილი, ზოგ მუნიციპალიტეტში დისტანციური სწავლების საკითხი საერთოდ არ განხილულა, ხოლო 20%-მა ვერ შეძლო დისტანციური სწავლების განხორციელება შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არქონის გამო (9,5% ბაღებს, ხოლო 11,1% ბაღის მშობლებს არ ჰქონდათ შესაბამისი აღჭურვილობა).

„დისტანციური სწავლების საკითხი ჩვენს მუნიციპალიტეტში საერთოდ არ დამდგარა დღის წესრიგში“- ინტერვიუ მუნიციპალიტეტის მერთან.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის ივლისის მონაცემებით[12], კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობები მხოლოდ 61% შეადგენს. საქართველოს რეგიონებში წვდომა კომპიუტერთან უფრო დაბალია, განსაკუთრებით გურიის და კახეთის რეგიონებში (დაახლოებით 40% ფარგლებში), ხოლო რაჭა-ლეჩხუმში კომპიუტერი მოსახლეობის მესამედსაც არ აქვს.



დისტანციური სწავლების პროცესი მუნიციპალიტეტის მიერ არ იყო დამატებითი ფინანსებით უზრუნველყოფილი მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ბაღების 38%-თვის ასეთი სწავლების წარმოება აღმზრდელებისთვის სავალდებულო იყო. გამოკითხული ბაღების 92% აღმზრდელებს არც ინტერნეტპაკეტები, არც დამატებითი სატელეფონო დრო, არც სახარჯი მასალა არ მიაწოდა. აღმზრდელებისთვის მუნიციპალიტეტებს არ დაუფინანსებიათ დისტანციური სწავლების თემაზე სრულყოფილი ტრენინგი, აღმზრდელების 60%-ს მეთოდური კონსულტაციები არ მიუღია. დანარჩენმა 40%-მა გაიარა კონსულტაციები/ტრენინგები გაერთიანების მეთოდისტებთან, რომლებისთვისაც დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევა იყო. მთელ სამუშაოს აღმზრდელები ასრულებდნენ საკუთარი ხარჯით (მხოლოდ 3% სარგებლობდა ბაღის კომპიუტერით) და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. აგრეთვე, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ბავშვების ოჯახებსაც არ მიეწოდებოდათ.

3.2.5 ბიუჯეტის ხარჯვა. როგორც წესი, ბაღების გაერთიანებების ბიუჯეტი არ არის საკმარისი ყველა მათი საჭიროების დასაფინანსებლად. სახსრების უკმარისობით აიხსნება ბაღში კომპიუტერის/პრინტერის არქონა, ჭურჭლის სარეცხი მანქანების თუ გარე დაკვირვების კამერების დამონტაჟების შეუძლებლობა, ეზოს მოუწესრიგებლობა, ჯგუფების ოთახებში საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი ავეჯის არარსებობა, საგანმანათლებლო რესურსის, განსაკუთრებით, წიგნების, დასურათებული ალბომების ვერშეძენა და ა.შ. აგრეთვე გაერთიანებებს, როგორც წესი, არ აქვთ საკმარისი სახსრები აღმზრდელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მეთოდური მასალის და სახელმძღვანელოების დასაბეჭდად/შესაძენად.

[12] საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში. https://www.geostat.ge/ka/-modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi

2020 წელს ბაღების გაერთიანებებს შეეძლოთ, ამ ჩამონათვალიდან ნაწილი მაინც დაეფინანსებინათ, ვინაიდან სწავლა არ მიმდინარეობდა და მოხდა გარკვეული თანხების ეკონომია. მაგალითად, ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 23 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, დაზოგილმა თანხამ თითქმის 4 მილიონი ლარი შეადგინა:

მუნიციპალიტეტი	დაგეგმილი	რეალური ხარჯი (ათასი ლარი)	ცვლილება (ათასი ლარი)	%
ხელვაჩაური	3,230	3,227	2	0.07%
ამბროლაური	902	894	8	0.89%
ქედა	1,224	1,205	19	1.55%
ქობულეთი	3,841	3,802	39	1.02%
ბაღდათი	1,178	1,138	40	3.40%
ყაზბეგი	1,132	1,090	42	3.71%
ბორჯომი	1,884	1,827	57	3.04%
თიანეთი	839	776	63	7.51%
მარტვილი	1,370	1,296	74	5.40%
ბოლნისი	2,725	2,618	107	3.93%
ხონი	1,086	984	102	9.37%
გორი	7,470	7,244	226	3.03%
დუშეთი	843	828	15	1.80%
საჩხერე	2,205	1,917	288	13.06%
გარდაბანი	5,326	4,956	370	6.95%
ხულო	2,742	2,362	380	13.86%
თელავი	4,598	4,167	431	9.37%
მცხეთა	4,400	3,955	445	10.11%
ოზურგეთი	4,600	4,029	571	12.41%
ჩხოროწყუ	1,394	1,414	-20	-1.45%
მესტია	1,320	1,153	167	12.65%
ონი	264	235	29	10.98%
ჭიათურა	3,400	2,890	510	15.00%

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა თვალნათლივ აჩვენებს ბიუჯეტის ცლილებას მუნიციპალიტეტებში. მუქი იასამნისფერით თანხობრივ რაოდენობას, ხოლო ყვითელი ხაზი დაგეგმილ ბიუჯეტთან პროცენტულ ცვლილებას აღნიშნავს. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტში 431 ათასი ლარი დაიზოგა, რაც დაგეგმილი ბიუჯეტის 9.37%, ხოლო ჭიათურაში დაზოგილმა თანხამ 510 ათასი ლარი და, შესაბამისად, დაგეგმილი ბიუჯეტის 15% შეადგინა.



ერთეულ შემთხვევებში მოწესრიგდა სამზარეულო (გაზქურები შეიცვალა ელექტროქურებით) ზოგან დაზოგილი თანხა მთლიანად დაიხარჯა „რეგულაციების მოთხოვნების შესასრულებლად“ (ძირითადად, ცხელების ოთახების მოწყობას მოხმარდა), მაგრამ ბაღების გაერთიანების უმრავლესობამ დაზოგილი თანხა მთლიანად დააბრუნა ადგილობრივ ბიუჯეტში.

3.3. განათლება პანდემიის დროს

3.3.1. დისტანციური სწავლება – ზოგადი სურათი

პანდემიის პერიოდში სახლებში დარჩენილი სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების და მათი მშობლების გაძლიერებისთვის თითქმის არაფერი გაკეთებულა ცენტრალურ დონეზე და მხოლოდ მინიმალური – ადგილობრივზე.

ბაღების გამოკითხვაში მონაწილე მუნიციპალური ბაღების 72%-მა აღნიშნა, რომ ახორციელებდა დისტანციურ სწავლებას.



აგრეთვე, როგორც მშობლების გამოკითხვიდან ჩანს, დისტანციურ სწავლებას ახორციელებდა. კერძო ბაღების 44%.

ბაღების გამოკითხვა ცხადყოფს, რომ აღმზრდელების უმეტესობას (92%) არ მიუღია დახმარება დისტანციური სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით. ქვევით მოცემულ ცხრილში ჩანს, რა სახის დახმარება მიიღო ბაღების მხოლოდ მცირე ნაწილმა.



სავარაუდოდ, აღმზრდელების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ნაკლებობა აისახა მათ მიერ განხორციელებულ პრაქტიკაზე. დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასება ჩვენი კვლევის მიზანს სცილდება, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტის (სკოლამდელი განათლების ექსპერტის) თქმით:

„ფაქტობრივად, რა რესურსითაც არსებობდნენ (პანდემიამდე), ბაღებმა იმ რესურსით გააგრძელეს ყოფნა. პრაქტიკოსებს არ ჰქონდათ ცოდნა როგორ უნდა განეხორციელებინათ დისტანციური სკოლამდელი განათლება, საერთოდ, რატომ იყო ეს საჭირო, რატომ უნდა განეხორციელებინათ დისტანციური სწავლება. რამდენიმე მუნიციპალიტეტის გარდა, არც უფიქრიათ, რომ პანდემიის პერიოდში სკოლამდელი განათლების სერვისის მიწოდება ალტერნატიული ფორმით განეხორციელებინათ“. [ერთ-ერთი რესპონდენტი]

„(დისტანციური სწავლების დროს) იყო რაღაც, რასაც არასწორად აკეთებდნენ, მაგალითად, ბავშვების პირადი მონაცემების დაცვის თვალსაზრისით იყო პრობლემები, ასევე ზოგ შემთხვევაში, არ იყო ბავშვის განვითარების შესაბამისი, ან არ იყო თვისებრივად სწორად დაგეგმილი აქტივობები“.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა მინიმალური იყო, ხოლო აღმზრდელებმა არ იცოდნენ, რას ნიშნავს და რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს დისტანციური განათლება ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, პასუხისმგებლობა ამ პროცესის განხორციელებაზე ძირითადად მთლიანად ბაღის ადმინისტრაციასა და აღმზრდელებს ეკისრებოდა. ბაღების მხოლოდ 10%-მა დააფიქსირა, რომ დისტანციური სწავლების ფორმასა და შინაარსზე პასუხისმგებელი ბაგა-ბაღების გაერთიანება იყო, დანარჩენ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ან მხოლოდ ბაღის ადმინისტრაციაზე იყო - 17%, ან მხოლოდ აღმზრდელებზე – 33%, ან გაზიარებული იყო ადმინისტრაციასა და აღმზრდელებს შორის – 21%.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ადრეულ ასაკში დისტანციური სწავლება ვერ შეცვლის ადრეული განათლების კონტაქტურ ფორმას, რადგან ადრეული განათლება დაფუძნებულია ცოცხალ ურთიერთობებზე და ემოციურ კავშირებზე უფროსებსა და თანატოლებთან, პრაქტიკულ/სენსორულ გამოცდილებაზე, თამაშით სწავლაზე, რაც შეუძლებელია ვირტუალურად. ამავე დროს გასათვალისწინებელია ეკრანთან გატარებული დროის უარყოფითი გავლენა ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებაზე[13].

3.3.2. დისტანციური სწავლების ფორმები და ბავშვების ჩართულობა. დისტანციური სწავლება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის შემთხვევაში სხვადასხვანაირად განხორციელდა: გამოკითხული ბაღების 55% ატარებდა ვიდეოაქტივობებს, 37% ონლაინშეხვედრებს ბავშვებთან, 37% აწვდიდა მშობლებს ყოველდღიური აქტივობების ჩამონათვალს, 29% ონლაინშეხვედრებს ატარებდა მშობლებთან, 18% კი ამზადებდა ვიდეოინსტრუქციებს მშობლებისთვის:



გამოკითხული ბაღებიდან 59%-მა დააფიქსირა, რომ დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობდა თითქმის ყველა ბავშვი, 40%-მა – რომ ნახევარზე ნაკლები, ხოლო 2%-მა – მხოლოდ სასკოლო ასაკის ბავშვები. ამავდროულად, გამოკითხვამ ცხადყო, რომ ბაღების 50% არ აწარმოებდა დისტანციურ სწავლებაში ჩართული ბავშვების აღრიცხვას.

დასკვნა: *ცალკეული მუნიციპალიტეტების თუ ბაღების ინიციატივა განახორციელონ დისტანციური სწავლება მეტყველებს ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერისა და სკოლამდელი განათლების უწყვეტობის შენარჩუნების მცდელობაზე. თუმცა, როგორც კვლევამ ცხადყო, მუნიციპალიტეტებში არ იყო სისტემური მიდგომა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისადმი პანდემიის პირობებში. საგანმანათლებლო პერსონალისთვის არ იყო განმარტებული ადრეულ ასაკში დისტანცური სწავლების სპეციფიკა და ის გამოწვევები, რომელიც ადრეული ასაკის ბავშვებთან მის განხორციელებასთან არის დაკავშირებული.*

[13] Madigan, S., Browne, D., Racine, N., Mori, C., & Tough, S. Association between screen time and children's performance on a developmental screening test (JAMA pediatrics, 2019), 173(3), 244-250.

აგრეთვე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დისტანციური სწავლება ხორციელდებოდა ისეთ პირობებში, როცა ოჯახებს არ ჰქონდათ წვდომა ტექნიკურ საშუალებებზე – კომპიუტერზე და ინტერნეტზე.

3.3.3. სხვა საგანმანათლებლო ინიციატივები. საკვლევ პერიოდში ბევრი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია ახორციელებდა ბაღების, ოჯახების თუ ბავშვების მხარდამჭერ აქტივობებს. უმეტეს შემთხვევაში, ეს საქმიანობა მოიცავდა საწმენდი-სადეზინფექციო საშუალებების თუ პირადი ჰიგიენის ნივთების დარიგებას ბაღებისთვის და საინფორმაციო ბროშურების გავრცელებას მოსახლეობაში. ქვემოთ გამოვყოფთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის საგანმანათლებლო ინიციატივას.

World Vision საქართველო:

პანდემიის დასაწყისში ორგანიზაცია **World Vision საქართველოს** მიერ თავდაპირველად მოხდა იმ პერიოდისთვის უკვე არსებული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციის **CreatCATT**-ის მიერ შემუშავებული პროგრამის[14] თარგმნა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეს არის პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს ბავშვის განვითარებას შემოქმედებითობის, თამაშისა და მოძრაობის საშუალებით და გულისხმობს 30-დღიანი აქტივობების ნაკრებს მშობლების, ოჯახის წევრების ან აღმზრდელებისთვის. თითოეული აქტივობა მოიცავს დეტალურ ინფორმაციას აქტივობის შესახებ, ასევე საჭირო რესურსის ჩამონათვალს, აღწერას, თუ რა უნარებს ივითარებს ბავშვი მოცემული აქტივობით და რჩევებს საუკეთესო შედეგის მისაღწევად. ამ რესურსის განთავსება რეგულარულად ხდებოდა ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდზე კარანტინის დასაწყისში.

პარალელურად, სოციალური თხრობის მეთოდით, შემუშავდა ამბავი „ნიკო და ვირუსი“ რვა წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროექტის მიზანი იყო ვირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება და ბავშვებისთვის ჰიგიენის დაცვის უნარების გამომუშავება დაშინებისა და შფოთვის გარეშე. გარდა ელექტრონული ვერსიისა, „ნიკო და ვირუსი“[15] დაიბეჭდა 5000 ეგზემპლარად და დარიგდა ორგანიზაციის სამიზნე თემებში.

2020 წლის სექტემბერში ორგანიზაციამ მოამზადა გზამკვლევი „ბაღები პანდემიის დროს“[16]. მასში მოცემულია რეკომენდაციები პანდემიის პერიოდში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების ფარგლებში. სახელმძღვანელოში აღწერილია პროცესის განხორციელების სამი ფორმა – კონტაქტური, ჰიბრიდული და დისტანციური. აგრეთვე, მოცემულია სქემა, თუ როგორ შეიძლება,

[14] World Vision საქართველო. შექმენი, ითამაშე, იმოძრავე და ისწავლე, 2020 https://www.facebook.com/media/-set/?vanity=WorldVisionInGeorgia&set=a.1080252602405285

[15] www. worldvision.ge სოციალური ამბავი „ნიკო და ვირუსი“, 2020 https://worldvision.ge/ge/news/7/niko-da-virusi

[16] ბაღები პანდემიის დროს. პრაქტიკული გზამკვლევი საპილოტე დაწესებულებებისათვის, 2020. https://drive.-google.com/file/d/1oop0Pl_u2ZFiaJ9Erw9I1Yosqc12tn5R/view

დაიგეგმოს საგანმანათლებლო პროცესი დისტანციურ ფორმატით. ამ გზამკვლევზე დაყრდნობით, სამიზნე ბაღების თანამშრომლებისთვის მომზადდა თემატური ტრენინგგეგმა: 6 საათიანი, რომელიც პრაქტიკოსების მხრიდან ონლაინრესურსის გამოყენებას ეხებოდა და 18-საათიანი ტრენინგგეგმა დისტანციური სწავლების განხორციელებაზე.

აღსანიშნავია, რომ World Vision საქართველომ სამიზნე მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღებისთვის პლანშეტები შეიძინა, რათა პრაქტიკოსებს დისტანციური სწავლების განხორციელება და, საჭიროების შემთხვევაში, რესურსის ინტერნეტით მოძიება მოეხერხებინათ.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF):

პანდემიის დასაწყისში, ბაღების დაკეტვის შემდეგ, სახლში დარჩენილი ბავშვებისა და მშობლების მხარდასაჭერად, გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით, კოალიციასთან „განათლება ყველასათვის“ და საზოგადოებრივ მაუწყებელთან პარტნიორობით ტელესკოლის ფარგლებში ადრეული განათლების კომპონენტის დამატება მოხდა და მომზადდა თორმეტი გადაცემა[17]. თითოეული გადაცემის ხანგრძლივობა 18-20 წუთი იყო და ეხებოდა ბავშვის განვითარების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ: ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებებს, ჯანსაღ კვებასა და კულინარიის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში, ფიზიკურ, მეტყველებისა და შემეცნებით განვითარებას, სოციალურ-ემოციურ განვითარებას და ქცევის პოზიტიურ მართვას, შემოქმედებითობასა და ხელოვნებას ადრეულ ასაკში, სამაგიდო, კონსტრუქციულ და სენსორულ თამაშებსა და სხვ. ასევე, გადაცემებში მოცემული იყო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ტიპის აქტივობები. ეს გადაცემები ექვსი კვირის განმავლობაში გადაიცემოდა ყოველ შაბათ-კვირას და მეორდებოდა კვირის განმავლობაში. აქტივობების შეთავაზებისას გათვალისწინებული იყო არსებული რეალობა და აქცენტი გაკეთდა მშობლისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომ რესურსზე. ვიდეორგოლები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გადიოდა ადგილობრივი ტელევიზიებით.

ამავე პერიოდში მომზადდა 7 ვიდეორგოლი[18], რომელშიც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები კითხულობდნენ საბავშვო წიგნებს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის. ეს ვიდეორგოლები სოციალური ქსელით ვრცელდებოდა.

ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების თემაზე მშობლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის მომზადდა საინფორმაციო ბროშურები. მათში მოცემული

[17] www.el.ge სკოლამდელი განათლება. გადაცემა „რჩევები მშობლებს“, 2020 https://el.ge/articles/project_tasks/7/59
[18] www.el.ge სკოლამდელი განათლება. ვიდეოები „წავიკითხოთ ერთად“, 2020 https://el.ge/articles/project_tasks/7/59

იყო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის სფეროების ზოგადი აღწერა, ასევე ასაკობრივად დალაგებული ინფორმაცია (0 დან 1 წლამდე, 1 დან 3 წლამდე, 3 დან 6 წლამდე) ბავშვის განვითარების სფეროების შესახებ და სარეკომენდაციო თამაშები, რომლითაც ხდება ამ სფეროების უნარების განვითარების ხელშეწყობა. ეს ბროშურები ელექტრონული სახით გავრცელდა ინტერნეტში კოალიციის „განათლება ყველასათვის“ გვერდზე[19].

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად საბავშვო ბაღებისთვის მომზადდა ვიზუალური თვალსაჩინოებები – ხელების დაბანის, დაცემინების, ხველების დროს მოქცევის წესების ილუსტრირებული პოსტერები. ისინი დაიბეჭდა აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ბაღებისთვის და თბილისის ყველა ბაღისთვის – ჯგუფისთვის თითო პოსტერი. ვიზუალური საინფორმაციო მასალა ელექტრონულად ხელმისაწვდომია ყველა საბავშვო ბაღისთვის გაეროს ბავშვთა ფონდის საიტზე.

გარდა ამისა, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის ყველა ბაღისთვის (სულ 336 ბაღი) მოხდა ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა (საწმენდი ხსნარები, ელექტროთერმომეტრები და ა.შ.).

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები (Save the children):

პირველი კარანტინის დროს ყველა საპილოტე ბაღისთვის თბილისსა და რუსთავში (სულ 20 ბაღი) მოხდა HEART (Healing and Education Through the Arts)-ის ანუ „ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების“ პროგრამის მინიმალური მასალის დარიგება. მომზადდა 4000 სამხატვრო მასალის პაკეტი (სახატავი რვეული, პლასტილინი, ფერადი ფანქრები, პასტელები, ფუნჯი და ა.შ.). ამასთან ერთად, მომზადდა მშობლებისთვის საინფორმაციო ბუკლეტი „HEART სახლში“, რომელშიც მარტივ და გასაგებ ენაზე აღწერილი იყო ის, თუ რა შეიძლება გააკეთოს მშობელმა სახლში, რათა ბავშვს სტრესი შეუმსუბუქოს ან, უბრალოდ, გაართოს. ჰარტის პროგრამის ადაპტაციის ფარგლებში, ტელესკოლასთან ერთად, მომზადდა სერია „ჰარტი სახლში“[20] – ოთხი 15-წუთიანი ვიდეორგოლი, სადაც ბავშვები და წამყვანი ერთად ჰარტის აქტივობებს აკეთებენ.

პანდემიის მეორე ტალღის პერიოდში ორგანიზაციამ მოახდინა პროგრამის „ადრეული წიგნიერება და მათემატიკა“ ადაპტირება და რაჭის რეგიონში, ამბროლაურისა და ონის 20 ბაღში, დაიწყო ამ პროგრამის პილოტირება. აღმზრდელებისთვის შეიძინეს პლანშეტები და ჩატარდა ტრენინგები აღმზრდელების დისტანციური სწავლების კომპონენტით გაძლიერების მიზნით.

[19] www.el.ge გადაცემა „მშობლის საათი“, 2021 https://bit.ly/3y5BRvQ
[20] httpswww.1tv.ge. გადაცემა „მშობლის საათი“, 2021 https://bit.ly/3y5BRvQ;://bit.ly/3y5BRvQ;

3.4.ოჯახების მხარდაჭერა

3.4.1 ოჯახების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილება. როგორც მშობელთა გამოკითხვამ ცხადყო, პანდემიის პერიოდში მშობლების დიდი ნაწილი დაუსაქმებელი იყო. გამოკითხული მშობლების 61% არის უმუშევარი, 35%-ს ჰყავს უმუშევარი მეუღლე, ხოლო 26% – ორივე მშობელი უმუშევარია:



გარდა ამისა, ოჯახებში არ იყო საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებთან სამუშაოდ (ოჯახების 16%-ს არ ჰქონდა საჭირო რესურსი). წიგნების შედარებით დიდი რაოდენობა გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 7%-ს აღმოაჩნდა, ხოლო მშობლების 35%-მა აღნიშნა, რომ სახლში სულ 24-მდე წიგნი აქვს:



აგრეთვე ბევრ ოჯახს გაუჭირდა დისტანციურ სწავლებაში ჩართვა ტექნიკური საშუალებების არქონის გამო - გამოკითხული მშობლების 27%-მა დააფიქსირა, რომ არ აქვს სახლში კომპიუტერი, მობილური ტელეფონი არ აქვს 8%-ს, ხოლო 13%-ს არ აქვს ინტერნეტი.



ამავე დროს, როგორც იგივე გამოკითხვიდან ჩანს, ოჯახების 80.4%-ში არის ერთზე მეტი ბავშვი, რაც ნიშნავს ისედაც მწირი ტექნიკური რესურსის რამდენიმე ბავშვზე განაწილების საჭიროებას.

ოჯახების 45% მრავალწევრიანია. ოჯახების 61,7%-ს არ აქვთ ბავშვისთვის განკუთვნილი ოთახი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს უწევთ მშობლების სივრცის და გაჯეტების გაზიარება იმისთვის, რომ დისტანციურ სწავლებაში ჩაერთონ.

იმავეს ადასტურებს ბაღების გამოკითხვაც - დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები არ ჰქონდა ოჯახების 63%-ს.

ძირითადი მხარდაჭერა, რაც ოჯახებმა მუნიციპალიტეტების მხრიდან მიიღეს, მდგომარეობდა ბავშვების სასურსათო კალათით უზრუნველყოფაში. მუნიციპალიტეტების 46% რეგულარულად არიგებდა პროდუქტებს, 48%-დროდადრო, 6%-ს საერთოდ არ დაურიგებია.



გარდა ამისა, გარკვეული დახმარება ოჯახებისთვის (რამდენიმე მუნიციპალიტეტში) გაწეულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

3.4.3. ოჯახების მხარდაჭერა საგანმანათლებლო მიმართულებით. ოჯახების მხარდაჭერა საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფის თვალსაზრისით თითქმის არ ხდებოდა, გამოკითხული ბაღების 83%-მა დააფიქსირა, რომ, როდესაც ბაღი არ მუშაობდა, არანაირი ტიპის სასწავლო რესურსის მიწოდება მშობლებისთვის არ მომხდარა. ბაღების უმეტესობა (68%) ამის მიზეზად შესაბამისი მითითების არქონას ასახელებს. გამონაკლისი არის ის მუნიციპალიტეტები, სადაც მუშაობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები (იხ. ნაწილი 3.3.3.). საგანმანათლებლო რესურსის გაზიარებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია. ამ მხრივ გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ ბაღების ნახევარზე მეტს (52%) კვირაში ერთხელ მაინც ჰქონდა კომუნიკაცია მშობლებთან, ხოლო 40%-მა აღნიშნა, რომ მუდმივი ყოველკვირეული კომუნიკაცია ჰქონდა ბავშვებთან. ბაღების 43% აცხადებს, რომ ინდივიდუალურ კონსულტაციას უწევდნენ მშობლებს. მშობლების 68% აცხადებს, რომ რეგულარულად იღებდა ბაღისგან/აღმზრდელისგან რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა ემუშავათ/ეთამაშათ ბავშვებთან მათი უნარების გასავითარებლად.

შემდეგი გრაფიკი გვიჩვენებს, რას აკეთებდნენ მშობლები თავიანთ შვილებთან სახლის პირობებში:



მიუხედავად ზემოთ მოცემული მონაცემებისა, ამავე დროს, მშობელთა 49% თვლის, რომ პანდემიის პერიოდში ბავშვს მეტ დროს არ უთმობს, ვიდრე ადრე უთმობდა, ეს კი დაკეტილი ბაღების პირობებში ბავშვის განვითარებისთვის არასახარბიელოა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მშობლების 62%-ს მიაჩნია, რომ ბაღების დაკეტვა პანდემიის დროს მნიშვნელოვანია ბავშვის/ოჯახის/საზოგადოების უსაფრთხოებისთვის, ხოლო 38% ბაღების დახურვას დაუშვებლად მიიჩნევს.

3.5. უცხოური ქვეყნების გამოცდილება

კვლევის ეს ნაწილი COVID-19 პანდემიასთან გამკლავების სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის პრაქტიკის ანალიზს მოიცავს სკოლამდელი და ადრეული განათლების მიმართულებით. განხილული იქნება, თუ როგორ შეძლეს სხვა ქვეყნებმა გამოწვევასთან გამკლავება მინიმალური დანაკარგებით, როგორც ბავშვების განვითარებისა და განათლების, ასევე ორგანიზაციებისა და მასში დასაქმებული ადამიანების კუთხით. ამისათვის, მოვიძიეთ ის კვლევები, რომლებიც მაღალი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის ჩატარებული და მათ ვებ გვერდებზე არის გამოქვეყნებული.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემაზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად მთელ მსოფლიოში არაერთი კვლევა ჩატარდა, ცალკეულად სკოლამდელი და ადრეული განათლების შესახებ მონაცემები მაინც მწირია. ამიტომ, ჩვენ გვიწევს ამ საერთო მონაცემებს დავეყრდნოთ, თუმცა ვიცით, რომ ხშირად ქვეყნებს განათლების სხვადასახვა საფეხურის მიმართ სხვადასხვა მიდგომა ჰქონდათ.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მრავლისმომცველი კვლევა „ქვეყნების პასუხი კოვიდ-19-ით გამოწვეულ სკოლების დაკეტვაზე“(Survey on National Education Responses to COVID-19 School Closures) დაიწყო კორონავირუსის პირველი ტალღის მიწურულს – იუნესკოს, იუნისეფისა და მსოფლიო ბანკის მიერ[21]. კვლევა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა, მუშაობის გრაფიკი;
- დისტანციური და ონლაინგანათლების მიწოდების სტრატეგიები;
- მასწავლებლები/ბავშვები/მშობლები;
- საგანმანათლებლო პროცესი, დაკვირვება და შეფასება;
- დაფინანსება.

მონაცემები განათლების დაწესებულებების გახსნა-დაკეტვაზე, ასევე, თავმოყრილია იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის ბაზაში. ამ მონაცემების საფუძველზე, იუნესკოს ვებვერდზე წარმოდგენილია ძალიან საინტერესო ინტერაქტიული რუკები, რომელიც გვიჩვენებს ადრეული და საშუალო განათლების საფეხურების გაერთიანებულ მონაცემებს გახსნისა და დაკეტვის დღეების შესახებ პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში[22]. პირველი რუკა გვიჩვენებს, ერთი წლის მანძილზე რამდენი კვირა იყო სრულად დაკეტილი ბაღები, ხოლო მეორე რუკა დაკეტვისა და გახსნის თანმიმდევრობას. 2020-ის სამი მარტის მონაცემებში ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო იმ რამდენიმე ქვეყანაშია, სადაც მთელ ქვეყანაში სრულად არის დაკეტილი საგანმანათლებლო დაწესებულებები:



[21] UNESCO-UNICEF-World Bank Survey on National Education Responses to COVID-19 School Closures – Key Results (2nd Iteration) 29/10/2020; https://bit.ly/3swwk0p;
[22] Education: From disruption to recovery; https://bit.ly/3z43mXX;

მარტის ბოლოსთვის თითქმის ყველა ქვეყანა, სადაც გამოვლინდა კოვიდის შემთხვევები, ცალკეული გამონაკლისების გარდა, კეტავს ბაღებს, თუმცა, ძალიან მალევე, პირველი ტალღის შესუსტებასთან ერთად, იწყება მათი ეტაპობრივი გახსნა. მოკლე სტატისტიკა[23]:

- დანია – ბაღები და დაწყებითი სკოლები იხსნება 14 აპრილიდან, ბავშვები ესწრებიან ცვლებში.
- ბელგია – ბაღები და სკოლები იხსნება 18 მაისიდან, შემცირებული (ათბავშვიანი) ჯგუფებით.
- ავსტრია – ნაწილობრივი გახსნა 1-ელი მაისიდან.
- ირლანდია – 29 ივნისიდან იხსნება ბაღები, ახალგაზრდული კლუბები და ბანაკები.
- ესპანეთი – ბაღები იხსნება 26 მაისიდან.
- პორტუგალია – ადრეული განათლების ცენტრები იხსნება 18 მაისიდან, ბაღები და დაწყებითი კლასები 1-ელი ივნისიდან.
- საბერძნეთი – 1-ელი ივნისიდან იხსნება ბაღები, 15 ბავშვი ჯგუფში.
- პოლონეთი – დაწყებითი კლასები და ბაღი იხსნება 13 მაისიდან.
- შვედეთი – სკოლები და ბაღები არ დაკეტილა.
- გერმანია – 23 ივნისისათვის ბაღები სრულად, ხოლო სკოლები ნაწილობრივ იხსნება.
- ამერიკის შეერთებული შტატები – სხვადასხვა შტატში სხვადასხვა პროცენტულობით ბაღები ნაწილობრივ ღიაა, ძირითადად, პირველადი მომსახურების პერსონალის ოჯახების ბავშვებისათვის[24].

შემდეგი რუკა გვიჩვენებს, რომ 14 ივლისის მონაცემებით, უმრავლეს ქვეყანაში ან აკადემიური არდადეგებია, ან სრულად გახსნილია. ზაფხულის პერიოდში ადრეული განათლების დაწესებულებები უმეტეს ქვეყანაში ღიაა.



[23] Coronavirus: How lockdown is being lifted across Europe, 2 July 2020; https://bbc.in/3mkDiVg;
[24] A State-by-State Look at the Ongoing Effects of the Pandemic on Child Care, May 20, 2020; https://bit.ly/3z43QgJ;

UNESCO-ს მონაცემებზე დაყრდნობით, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში[25] წარმოდგენილია 2020 წლის 11 მარტიდან, 2021 წლის 2 თებერვლამდე გაცდენილი აკადემიური დღეების ჯამური რაოდენობა ქვეყნების მიხედვით. საშუალოდ სრულად დაკეტილი იყო ბაღები 95 აკადემიური დღის განმავლობაში, რაც წარმოადგენს სასწავლო დღეების ნახევარს. ყველაზე დიდი რაოდენობა გაცდენილი დღეებისა ლათინური ამერიკისა და კარიბის რეგიონის ქვეყნებზე მოდის, შემდეგ კი სამხრეთი აზიისა და აღმოსავლეთი და სამხრეთი აფრიკის რეგიონის ქვეყნებზე. საქართველო ამ კვლევაში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონს მიეკუთვნება. საგულისხმოა რომ საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად ნაკლები სასწავლო დღეა: 199 ჩამოთვლილი ქვეყნიდან საქართველო ბოლოდან მე-12 ადგილზეა სასწავლო დღეების რაოდენობით.



რეგულაციები ბაღების მუშაობის განახლებისთვის

პანდემიის პირველი ტალღის დროს უამრავ ქვეყანაში დაიწყეს მუშაობა ეტაპობრივი გახსნის გეგმაზე და ამასთან ერთად იმ რეგულაციებზე, რომლის მიხედვითაც უნდა ემუშავათ განათლების დაწესებულებებს გახსნის შემდეგ.

სხვადასხვა ქვეყანამ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, განსხვავებული მოდელი შეიმუშავა. პირველადი რეგულაციები შემდგომ პერიოდში რამდენჯერმე ჩასწორდა და შეიცვალა. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ შემუშავდა რეგულაციები[26], რომელიც საფუძვლად დაედო თითოეული შტატის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელო პრინციპებს. მაგალითად, კოლუმბიის შტატის რეგულაციები,ძირითადად, ორ ნაწილად იყოფა, დაავადების პრევენცია და დაავადების გამოვლენის შემდგომი საპასუხო ღონისძიებები. პრევენციული ღონისძიებები,

[25] COVID-19 and School Closures. One year of education disruption. March 2021; https://bit.ly/2WbT4XB;
[26] Health and Safety Guidance for Child Care Providers. District of Columbia.Updated Dec. 21, 2020

უპირველესად, ითვალისწინებს ოჯახებთან და ბაღის თანამშრომლებთან მკაფიო კომუნიკაციას.

„პირამიდის მოდელის ნაციონალურმა ცენტრმა“[27] შექმნა ადრეული განათლების დაწესებულების გახსნის მოსამზადებელი სახელმძღვანელო მენეჯმენტისთვის, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ბაღის მენეჯერებთან, თანამშრომლებთან, ოჯახებთან კომუნიკაციის ფორმები და თემები.

კომუნიკაცია ეხება ასევე იმ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების თვალსაჩინოდ მიწოდებას, როგორც ბავშვების და მათი ოჯახების, ასევე ბაღის თანამშრომლებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაღის ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი, წყლის მიწოდებისა და სავენტილაციო სისტემების გამართულად მუშაობას.

დოკუმენტში გაწერილია სოციალური (ფიზიკური) დისტანციის ზომები:

- ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შემცირება, 10 ბავშვი და 3 უფროსი თითო ჯგუფში. (ჯამში 13 ადამიანი);
- თითოეულ ჯგუფს კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთარ წევრებთან ჯგუფის შიგნით და არ უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია სხვა ჯგუფებთან;
- ერთი და იგივე ბავშვები და მასწავლებლები უნდა იყვნენ ყოველდღიურად იმავე ჯგუფებში და არ უნდა ხდებოდეს მათი როტაცია. არ შეიძლება ჯგუფების შერევა, მათ შორის, შესასვლელში, დერეფანში, საპირფარეშოში, კვების დროს და ეზოში;
- არ არის რეკომენდებული ჯგუფური აქტივობები, რომელიც გულისხმობს ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგომას ან ჯდომას.

დოკუმენტის მიხედვით, ადრეული განათლების დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული პროცედურები, რაც გულისხმობს ყველა თანამშრომლისა და ბავშვის სკრინინგს ბაღში მოსვლის დროს, დისტანციის დაცვით. რაც უმეტესად გამოკითხვასა და ვიზუალურ დათვალიერებას გულისხმობს და არა ტემპერატურის გაზომვას, რადგან ეს პროცედურა ხშირად რიგებს იწვევს.

პერსონალისა და ოჯახის ყველა წევრისათვის, რომელთაც ბავშვი ბაღში მიჰყავთ, და 2 წელს ზემოთ ბავშვებისათვის ნიღბის ტარება სავალდებულოა.

ნორვეგიული მოდელი[28] განსხვავებულ მიდგომას იყენებს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ინფექციის გავრცელების შენელების სამი ძირითადი საყრდენია:

1. ავადმყოფი ბავშვები და პერსონალი არ უნდა დაიშვას საბავშვო ბაღში;
2. ჰიგიენის წესების მკაცრი დაცვა;
3. კონტაქტების შემცირება.

[27] The National Center for Pyramid Model Innovations.The Leadership Team's Guide for Re-Opening Programs https://bit.ly/3k9LXHp;
[28] Veileder om smittevern i barnehager under covid-19 utbruddet 2020 4. Utgave 28.09.2020

ინფექციის კონტროლის დონეები სამ საფეხურად იყოფა: მწვანე, ყვითელ და წითელ ფაზად. თითოეულ ფაზაში სხვადასხვა სიმკაცრის რეგულაციები მოქმედებს. სიმკაცრე, ძირითადად, გულისხმობს ჯგუფების (კლასტერების) იზოლაციას ერთმანეთისაგან და კონტაქტების შემცირებას, თუმცა, კლასტერის შიგნით ბავშვები არ იზღუდებიან ურთიერთობაში, ნივთების გაზიარებაში, არ არიან ვალდებული, ატარონ პირბადე და ჩვეულებრივ აქვთ ერთმანეთთან და მასწავლებლებთან ურთიერთობა.

ინფექციის კონტროლის ღონისძიებების დაყოფა დონეებად
(ნორვეგიის შუქნიშნის მოდელი)

მწვანე დონე
1. ავადმყოფი ადამიანები არ დაიშვებიან ბაღში;
2. ჰიგიენა და ვარჯიში;
3. კონტაქტის შემცირების ზომები: მოერიდეთ თანამშრომლებს შორის ფიზიკურ კონტაქტს (ხელის ჩამორთმევა და ჩახუტება).

ყვითელი დონე
1. ავადმყოფი ადამიანები არ დაიშვებიან ბაღში;
2. გაძლიერებული ჰიგიენა და დასუფთავება;
3. კონტაქტის შემცირების გაძლიერებული ზომები:
*თავიდან აიცილეთ თანამშრომლებს შორის ფიზიკური კონტაქტი, მთელი ორგანიზაცია ითვლება ერთ კლასტერად;
* მუდმივი თანამშრომლები ერთ ჯგუფზე;
* მოერიდეთ შეჯგუფებას და დიდ შეკრებებს, დაიცავით მანძილი სხვადასხვა ჯგუფს შორის;
* დაყავით გარე ადგილები, რომ მანძილი შეინარჩუნოთ ჯგუფებს შორის.

წითელი დონე
1. ავადმყოფი ადამიანები არ დაიშვებიან ბაღში;
2. გაძლიერებული ჰიგიენა და დასუფთავება;
3. კონტაქტის შემცირების გაძლიერებული ზომები: თავიდან აიცილეთ თანამშრომლებს შორის ფიზიკური კონტაქტი, თითოეული ჯგუფი ითვლება ერთ კლასტერად;
* მუდმივი თანამშრომლები ერთ ჯგუფზე;
* მოერიდეთ შეჯგუფებას და დიდ შეკრებებს, დაიცავით მანძილი კლასტერებს შორის;
* დაყავით გარე ადგილები, რომ მანძილი შეინარჩუნოთ ჯგუფებს შორის;
* შეადგინეთ ბავშვების მოსვლისა და წასვლის დროების ცხრილი.
საბავშვო ბაღში კლასტერები არის ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი ინფექციის კონტროლისა და ინფექციის შესაძლო წყაროს მიკვლევისთვის და რეკომენდებულია მათი ყვითელ და წითელ დონეზე გამოყენება.
ჯგუფის ზომა შეიძლება მოერგოს ინდივიდუალური საბავშვო ბაღის წინაპირობებს.

კლასტერები, რაც შეიძლება, ნაკლებად უნდა იყოს შერეული სხვა ჯგუფებთან.
კლასტერის ფარგლებში, ბავშვებსა და თანამშრომლებს შეუძლიათ ნორმალურად ურთიერთობა.

პოლონეთში კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო პირველი ლოქდაუნი 2020 წლის 14 მარტს გამოცხადდა.

15 მარტს დაიკეტა ბაღები და სკოლები, ხოლო მცირეწლოვანი ბავშვების დედებს უფლება მიეცათ, შეეწყვიტათ მუშაობა. მათ დაენიშნათ შემწეობა ბავშვების მოვლისათვის. ეს ეხებოდა დედების საკმაოდ დიდ ჯგუფს, მათ შორის, მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა.
19 აპრილს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბავშვო ბაღების მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით 6 მაისიდან, განსაკუთრებული სანიტარული რეჟიმის გათვალისწინებით.

პოლონეთში საბავშვო ბაღები იმართება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ. ბევრი თვითმმართველობა გაოცებული დარჩა ცენტრალური ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით, რადგან არ იყო მომზადებული ახალი სანიტარული ნორმების შესასრულებლად, რაც მოითხოვდა დიდ ფინანსურ დანახარჯებსა და პროცედურებს. ერთი კვირის განმავლობაში თვითმმართველობები ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულტაციით განიხილავდნენ აღნიშნულ საკითხებს და 13 მაისიდან თვითმმართველობების უმეტესობაში, ვარშავის ჩათვლით, ბაღები გაიხსნა ყველა წესის დაცვით:

- უპირველესი რეკომენდაცია ბაღების უსაფრთხო მუშაობისათვის იყო ჯგუფების იზოლაცია ერთმანეთისგან და ჯგუფებში ბავშვთა არსებული რაოდენობის შემცირება 50% -ით;
- მთავრობამ მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობებს, პირველ რიგში დაეკმაყოფილებინათ ის ბავშვები, რომელთა მშობლებს უჭირთ სამუშაოს შეთავსება ბავშვზე ზრუნვასთან: „პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეთ ჯანდაცვის, ძალოვანი სტრუქტურების, სავაჭრო და საწარმოო კომპანიების თანამშრომელთა ბავშვებს, რომლებიც ასრულებენ კოვიდ-19-თან ბრძოლის, პროფილაქტიკისა და უსაფრთხოების სამუშაოებს“[29];
- საკვანძო საკითხი იყო ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, რეკომენდაცია გაიცა, ბავშვები მუდმივად დარჩენილიყვნენ მათთვის გამოყოფილ ოთახებში, შესაძლებლობის ფარგლებში უფრო შემცირებული რაოდენობით, ვიდრე ამას განათლების სამინისტროს რეგულაციები ითვალისწინებდა;
- საგნები და მოწყობილობები, რომელთა დეზინფექცია რთული იქნებოდა, მაგალითად, რბილი სათამაშოები, უნდა ამოღებულიყო ხმარებიდან;
- არ დაიშვებოდა ბაღში ბავშვი, რომლის ოჯახის წევრიც კარანტინში იმყოფებოდა, ასევე, მშობლებისგან ითხოვდნენ, რომ მათ არ მიეყვანათ ბაღში ბავშვები სხვადასხვა დაავადების სიმპტომებით.

ანალოგიური რეგულაციები ვრცელდებოდა საბავშვო ბაღების თანამშრომლებზეც. მუშაობის დროს პერსონალს არ ევალებოდა ნიღბების ტარება, თუმცა, მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეთავაზებული იყო, რომ 60 წლის ზემოთ პერსონალს თავი შეეკავებინა მუშაობისგან.

[29] https://bit.ly/2WcFPpu;

ყველა დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ჰიგიენის ძირითადი საშუალებებით, სადეზინფექციო ხსნარებით, მათი თვალსაჩინო ადგილას განთავსებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ბაღში ყოფილიყო საიზოლაციო ოთახი.

ჩამოთვლილი წესები მოცემულია დოკუმენტში „ჯანდაცვის სამინისტროს, მთავარი სანიტარული ექიმის და საბავშვო ბაღების სახალხო განათლების სამინისტროს რეკომენდაციები საბავშვო ბაღების, დაწყებითი სკოლებისა და სკოლამდელი განათლების სხვა ფორმებისათვის“. ეს წესები მოქმედებდა სასწავლო წლის ბოლომდე და საზაფხულო არდადეგების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთში ბაღებში ვირუსული ინფექციების შემთხვევები არ იყო ხშირი. თუმცა იყო შემთხვევები, როცა საბავშვო ბაღის მთელ ჯგუფს უშვებდნენ კარანტინში, მშობლების ავადმყოფობის გამო.

2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან პოლონეთში ძალაში შევიდა შემდეგი ახალი წესები:

1. განათლების მინისტრის დადგენილება 12 აგვისტო, 2020 წ. სახელმწიფო და კერძო საბავშვო ბაღებში უსაფრთხოებისა და ჰიგიენის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკანონმდებლო მაცნე 2020წ. #1386);
2. მთავარი სანიტარული ექიმის ეპიდემიასთან ბრძოლის სახელმძღვანელო (25 აგვისტო 2020 წ.) საბავშვო ბაღების, სკოლასთან არსებული საბავშვო ჯგუფებისა და 3 წლამდე ბავშვების მოვლის დაწესებულებებისათვის.
გადაწყდა ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის მომატება, მათი იზოლირებულობის პრინციპის შენარჩუნებით.

მნიშვნელოვანია, რომ ადაპტაციის პერიოდში მშობელი ან მზრუნველი, ბაღის დირექტორის ნებართვით, დაიშვება ბავშვთან ერთად ჯგუფის სივრცეში ყველა საჭირო უსაფრთხოების ნორმის დაცვით. ჯანდაცვის დეპარტამენტის გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი უფროსების რაოდენობა უნდა იყოს დაყვანილი მინიმუმამდე.

2021 წლის 29 მარტიდან გაუარესებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო (30 000 შემთხვევაზე მეტი დღეში) ბაღები დაკეტა 11 აპრილამდე.

ქალაქ ტორუნის (პოლონეთი) საბავშო ბაღის უსაფრთხოების ნორმები

პროცედურა განსაზღვრავს უსაფრთხოების ნორმებს, მოქმედებს ობიექტზე კოვიდ-19 ის დროს. ის ვრცელდება მუნიციპალური N8 ბაღის ყველა თანამშრომელსა და ბავშვების მშობელზე.

ბავშვის მოვლისა და სამუშაოს ორგანიზების პრინციპები საბავშვო ბაღში

1. ბაღის მუშაობის დრო 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან დამოკიდებულია დაწესებულების ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე, მშობელთა განცხადებებსა და ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე ქალაქ ტორუნში. მაქსიმალური სამუშაო დრო განისაზღვრება 6:00-დან 16:30-მდე;

2. ბავშვების მიღების დრო არის 7:30 საათამდე, ამის შემდეგ ბავშვები არ დაიშვებიან. გაშვების დრო 14:15 დან;
3. „მომსვლელი და წამსვლელი“ ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის შენობაში სივრცეები გამოყოფილია 06:00 -დან 07:30-მდე და 15:30-დან 16:30-მდე;
4. მუდმივი შემადგენლობა – ბავშვები, აღმზრდელები და სხვა პერსონალი შეძლებისდაგვარად განთავსდებიან სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში (აღმზრდელებისა და ახალი ბავშვების შეერთება ჯგუფთან ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში);
5. მაქსიმუმ 25 ბავშვი შეიძლება იმყოფებოდეს ერთ ჯგუფში;
6. ჯგუფის ზომა, სადაც იმყოფება 3-5 ბავშვი, არ უნდა იყოს 15 $მ^2$-ზე ნაკლები, 5-ზე მეტი ბავშვის შემთხვევაში, კვადრატულობა ყოველ ბავშვზე იზრდება და არ უნდა იყოს ბავშვზე 1.5 $მ^2$-ზე ნაკლები. ეს მოიცავს მისაღებს, სამზარეულოს, შიდა კომუნიკაციებსა და სანიტარულ წერტილებს. ასევე ანგარიშისას გასათვალისწინებელია ავეჯი, რომელსაც უკავია გარკვეული ფართობი;
7. ჯგუფის ოთახიდან უნდა გავიდეს ის ნივთები და მოწყობილობები რომელთა ეფექტურად დასუფთავება და დეზინფიცირება შეუძლებელია (მაგ., რბილი სათამაშოები.);
8. დღის მანძილზე სასურველია გამოყენებული სათამაშოების წმენდა-დეზინფექცია;
9. ოთახები ნიავდება ყოველ ერთ საათში;
10. საკვების მიწოდება ხდება კონკრეტულ ჯგუფზე მიმაგრებული თანამშრომლების მიერ;
11. საბავშვო ბაღში ჯგუფების წასვლისა და მოსვლის დროს უნდა არიდებული იყოს ჯგუფების გადაკვეთა გამოსაცვლელ ოთახში და შეთავაზებული იყოს სხვადასხვა დრო;
12. ბავშვები, რომლებიც თამაშობენ სპეციალურად გამოყოფილ ზონებში, ინარჩუნებენ დისტანციას ჯგუფებს შორის;
13. ბავშვები არ სარგებლობენ წყლის დისპანსერით, ყოველ ჯერზე წყლის ჭიქები იმდუღრება;
14. ეზოს მოწყობილობებს უტარდება დეზინფექცია დამლაგებლის მიერ;
15. ეზოში კეთდება ნიშნულები სხვადასხვა ზონის აღსანიშნავად, შესვლის და გამოსვლისათვის, მოძრავი თამაშებისათვის და ა.შ.
16. თუ ბაღი სთავაზობს ბავშვებს დასვენებას, შეზლონგებს უტარდება დეზინფექცია. ყველა ბავშვს აქვს თავისი ბალიში და თეთრეული, რომელიც ინახება პაკეტში წარწერით, ცალ-ცალკე თაროზე;
17. ინდივიდუალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მუშაობა ბავშვთან ხდება მშობლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ბავშვები, რომლებსაც ასეთი თანხმობა არ აქვთ, დახმარებას იღებენ მშობლებისათვის გაწერილი რეკომენდაციების სახით.

ჯგუფური მეცადინეობების შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვების უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები და საჭიროებები. რეკომენდებულია მუშაობა ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებთან მუდმივი შემადგენლობით.

ზრუნვა ადრეულ განათლებაზე

2020 წლის აპრილის დასაწყისში[30] მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ ადრეული ასაკის ბავშვებზე პანდემიის საფრთხეებისა და უარყოფითი გავლენის შესამცირებლად შემუშავდა ორი დოკუმენტი: „ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერა კოვიდ-19 საპასუხოდ“[31] და „ადრეულ განათლებაში ინვესტირება კოვიდ-19 ის დროს.“[32] დოკუმენტებში გამოყოფილია სამი ძირითადი გზავნილი:

- ადრეული ბავშვობა კრიტიკული პერიოდია ადამიანური კაპიტალის შესაქმნელად;
- მცირეწლოვანი ბავშვები არაპროპორციული რისკის ქვეშ არიან და მათ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ;
- ბავშვებამდე მიღწევა შეგვიძლია მათი მშობლებისა და მზრუნველების მხარდაჭერით.

ამ გზავნილების შესაბამისად, დოკუმენტებში წარმოდგენილი სტრატეგიები ეფუძნება ზოგიერთი ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც მათ განახორციელეს პანდემიამდე, ადრეული განათლების შეზღუდვის პირობებში. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

- ჯანდაცვის ონლაინპლატფორმის შექმნა, რომელიც მოიცავს ფეხმძიმე ქალებისა და ახალშობილთა ოჯახების ინფორმირებას, მშობლების მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და სტრესის მართვის სტრატეგიების გაცნობას. ასევე, ინფორმაციის მიღებას რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ (მექსიკა).
- ნუტრიციის პლატფორმები, ინფორმაციის მოძიება და საკვებით უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე, საკვების ჰიგიენისა და უსაფრთხო მომზადებაზე ინფორმაციის მიწოდება. ეკვადორის შემთხვევაში მოხდა სატელეფონო ტექსტური შეტყობინებების მიწოდება, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა (ეკვადორის ტექსტური შეტყობინებების პროგრამა).
- საბავშვო ბაღებისა და „ფრონტის ხაზზე“ მომუშავე სპეციალისტების მხარდაჭერა ითვალისწინებს ისეთი „გადაუდებელი ბაღების“ შექმნას, რომლებიც იმუშავებებს დასაქმებული ადამიანებისათვის.
- ადრეული განათლების სუბსიდირება ან საშემოსავლო გადასახადების შემცირება ადრეული განათლების დაწესებულებებისათვის, რათა მათ შეძლონ მომუშავე ოჯახების ბავშვების მომსახურება.
- ბაღების აღიარება ისეთ მცირე ბიზნესად, რომელსაც დახმარება სჭირდება, რომ არ დაიხუროს და შეძლოს მუშაობის გაგრძელება კრიზისის შემდგომ პერიოდში (ბურკინა-ფასოს მობილური ბაღების შექმნა).

---

[30] Supporting the youngest learners and their families in the COVID-19 (Coronavirus) responseAMANDA DEVERCELLI APRIL 16, 2020 https://blogs.worldbank.org/education/supporting-youn est-learners-and-their-families-covid-19-corona-virus-response

[31] 15 Ways to Support Young Children and their Families in the COVID-19 Response. World Bank Group http://documents1.worldbank.org/cura ed/en/963051586986115651/pdf/15-Ways-to-Support-Young-Children-and-their-Families-in-the-COVD-19-Response.pdf

[32] Investing in the Early Years During COVID-19. World Bank Group http://documents1.worldbank.org/curated/en/244881586986597613/pdf/Investing-in-the-Early-Years-During-COVID-19.pdf

- მშობლებისთვის წიგნების, სასწავლო და სათამაშო მასალების დარიგება, გაზიარება სადისტრიბუციო ქსელების, ფულადი გზავნილების პროგრამის ან საკვების გამანაწილებელი პუნქტების საშუალებით. მშობლების წახალისება და ჩართვა ბავშვებისთვის ამბების მოყოლასა და კითხვაში, ტელევიზიის, რადიოს, მობილური აპლიკაციების, საინფორმაციო კამპანიების ან ჯგუფებისა და ინდივიდუალური ურთიერთობების საშუალებით (კენიის პროგრამა, მშობელთა ჩართვა ადრეულ წიგნიერებაში).
- ბაღების გახსნისა და ხელახალი რეგისტრაციის კამპანიების წარმოება, განსაკუთრებით, სასკოლო მზადყოფნის ჯგუფებისათვის. ჰიგიენის პრაქტიკის დანერგვა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება (ჯანდაცვისა და კვების სახელმძღვანელო ბაღებისათვის Save the children).
- დისტანციური სწავლების პლატფორმების შექმნა ადრეული განათლებისათვის. ტექსტური შეტყობინებებით ძირითადი გზავნილების გაზიარება აღზრდის, კვების, ჯანმრთელობის, ადრეული სტიმულაციისა და ინფექციის დონის შემცირების სტრატეგიების შესახებ.
- სატელეფონო ცენტრებს, სხვადასხვა დახმარების ხაზს – ე.წ. helplines-ს – შეუძლია, დაეხმაროს მშობლებს სტრესის დაძლევის ტექნიკით, ასევე, ხელი შეუწყოს ქალთა და ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოჩენას (კოლუმბია Contacto Sin Contagio).
- რადიოს დაფარვა ქვეყნების უმეტესობაში მაღალია და კარგად შეიძლება გამოყენება მშობლებისა და ბავშვებისათვის გასართობი და სასწავლო აქტივობების მისაწოდებლად.
- სოციალური მედია, განსაკუთრებით, Facebook და WhatsApp, დიდი პოპულარობით სარგებლობს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში და მათი გამოყენება შესაძლებელია შეტყობინებების გასამრავლებლად და დამხმარე ქსელების შესაქმნელად.

ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა სწორედ ზემოთ აღწერილი სტრატეგიები პანდემიის პერიოდში ადრეული განათლების გამოწვევებთან გასამკლავებლად[33]. მნიშვნელოვანია რომ ქვეყნების მიერ გამოყენებული იქნა ინდივიდუალიზებული მიდგომა ოჯახების მიმართ, ბავშვების საჭიროებიდან გამომდინარე. მცდელობა იყო ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო ბაღში/სკოლაში სიარული.

- ადრეული განათლების დანაკლისის შესავსებად დისტანციური სწავლების მოდელის გამოყენება. ადრეული განათლების შემთხვევაში ხორციელდებოდა ან უშუალოდ ბავშვებთან, მშობლების დახმარებით, ან მხოლოდ მშობლებთან და ოჯახებთან;
- პარტნიორობა ეროვნულ საგანმანათლებლო მედიასთან და უფასო ონლაინსასწავლო რესურსები; რომელთა მაგალითებიცაა ახალი სატელევიზიო და რადიოსადგურები და პროგრამები ახალ ზელანდიაში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში.
- კოლუმბიაში შეიქმნა ონლაინპლატფორმა პედაგოგიური რესურსებით, რომელზეც დაბალშემოსავლიან ოჯახებს ხელი უფასოდ მიუწვდებოდათ. მათ პლატფორმასთან დაკავშირება ინტერნეტის საფასურის გარეშე შეეძლოთ.

[33] OECD Policy Responses to Coronavirus (COVID-19)The impact of COVID-19 on student equity and inclusion: Supporting vulnerable students during school closures and school re-openings. 19 November 2020. https://bit.ly/3j4YYCs;

- დიდ ბრიტანეთში მთავრობამ თავი მოუყარა რესურსებს, რომლის გამოყენება შეეძლოთ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, მაგალითად, დისლექსიისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონეთ.

პრაქტიკა, რომელიც ოჯახებისთვის ელექტრონული მოწყობილობებისა და სასწავლო რესურსების უფასოდ მიწოდებას ითვალისწინებდა, ბევრ ქვეყანაში გამოიყენეს როგორც მთავრობებმა, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაციებმა:

- ჩილეში მთავრობამ დაარიგა ინტერნეტში ჩართული, დაახლოებით, 125 000 კომპიუტერი მთელ ქვეყანაში. სლოვენიაში დონორების მხარდაჭერით მოგროვდა ათასობით ელექტრონული მოწყობილობა გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად. იტალიაში, რომში, ჩატარდა სამუშაოები იმ ბავშვების გამოსავლენად, ვისაც არ ჰქონდა წვდომა და ქალაქი დაეხმარა მათ კომპიუტერებითა და ტაბლეტებით, ასევე კავშირის პრობლემების მოგვარებაში. პორტუგალიაში დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მცხოვრები ბავშვებისთვის, რომელთაც ინტერნეტთან წვდომა არ ჰქონდათ, ჩამოყალიბდა ამობეჭდილი რესურსების სისტემატური მიწოდების მომსახურება;
- ბაღებისა და სკოლების „სასწრაფო“ ჯგუფების ფუნქციონირება გადაუდებელ სამსახურებში მომუშავე პერსონალისათვის (საფრანგეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია და ა.შ.);
- ნორვეგიაში ბაღები ღია იყო იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც რაიმე სახის სპეციალური საჭიროება ჰქონდათ ან სახლში არსებობდა ძალადობის მაღალი რისკი. ცალკე მაგალითია შვედეთი, სადაც ბაღები საერთოდ არ დაკეტილა, რათა ბავშვებისთვის ფიზიკურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო განათლება.

ფინანსური დახმარება და საკვებით უზრუნველყოფა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხდებოდა. უზრუნველყოფილი იყო ბაღის საკვების გადაცემა ბავშვებისათვის და იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებდნენ.

მასწავლებლების მხარდაჭერა ხორციელდებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსითა და ონლაინსწავლების სტრატეგიით. მაგალითად, იტალიაში ყველა მასწავლებლისთვის ჩატარდა ტრენინგი დისტანციური სწავლების ტექნიკაზე. ნორვეგიამ, დანიამ და ფინეთმა მასწავლებლებსა და მშობლებს e-learnig-ის (ელექტრონული სწავლების) პლატფორმა უფასოდ შესთავაზა.
არაერთი ქვეყანა ხელს უწყობდა მასწავლებლების მიერ სპეციალური ჯგუფების ჩამოყალიბებას მოწყვლადი ბავშვების ჩართვის მხარდასაჭერად (საბერძნეთი, ურუგვაი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.).

დასკვნა: *უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებაზე საუბრისას, დასკვნის სახით, გთავაზობთ შემაჯამებელი სტატიას, რომელიც 2021 წლის თებერვალში Family Health International 360-ის მიერ WHO-სთან და ლეგოს ფონდთან პარტნიორობით გამოქვეყნდა და აერთიანებს ასზე მეტ კვლევას ადრეული განათლების მდგომარეობაზე პანდემიის პერიოდში. კვლევის ძირითადი მიგნებები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული გრაფა გვიჩვენებს პანდემიის გავლენას ადრეული ასაკის ბავშვებისა და მათი ოჯახების ცხოვრებაზე სამი მიმართულებით.*

პასუხისმგებლიანი ზრუნვა	შესაძლებლობები ადრეული განათლებისთვის	უსაფრთხოების დაცვა
• მშობლების და მხარდამჭერების გაზრდილი სტრესი, გადაწვა, დეპრესია • უფრო მკაცრი აღზრდის სტილი და ნაკლები სითბო • მამის ჩართულობის ზრდა ბავშვზე ზრუნვაში • ძუძუთი კვების შემცირება	• შემცირებული ფიზიკური გარე აქტივობები • ეკრანთან გატარებული დროის ზრდა • მშობლების ჩართულობის ზრდა ადრეულ განათლებაში (ზღაპრები, თამაშები)	• შემცირდა ბავშვების დაზიანებები (დაფუძნებულია გადაუდებელი მიმართვების სტატისტიკაზე) • შემცირდა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობა

■ ეფუძნება 15-ზე მეტ კვლევას ■ ეფუძნება 4-14 მეტ კვლევას

■ მცირე აუდიტორიას, მცირე მმტკიცებულებებს ან მცირე რაოდენობის კვლევას მოიცავს

შემდეგ ცხრილში კი მოცემულია ის მოულოდნელი პოზიტიური შედეგები, რომელიც მოიტანა პანდემიის პერიოდმა ბავშვების ადრეული განათლებისა და განვითარების სფეროში.



ასევე, კვლევაში აღწერილია შვიდი წარმატებული პროგრამა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც ადრეულ განვითარებასა და განათლებაზე მუშაობენ:

პროგრამა/ ორგანიზაცია	ქვეყანა	ბენეფიციარები	პროგრამის ფოკუსი	COVID-19-ის დროს განხორციელებული ძირითადი ინტერვენციები
Associazione 21 Lugilo	იტალია	ბოშა და მიგრანტი ოჯახები, რომლებიც სპეციალურ დასახლებებში საცხოვრებელ დასახლებებში ცხოვრობენ	სოციალური დაცვა, საკვების უსაფრთხოება, ადრეული განათლების მხარდაჭერა	- ცხელი ხაზი; - ზღაპრების ცხელი ხაზი ბავშვებისთვის; - საბავშვო ნივთების დარიგება; - მშობლების მხარდაჭერის ონლაინჯგუფები (Zoom, WhatsApp); გარე აქტივობები და სემინარები.
Ummeed Child Development Center	ინდოეთი	განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები და მათი მომვლელები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები	სამედიცინო სერვისები, მშობლების მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერა, ადრეული განათლების მხარდაჭერა	- ადრეული და სკოლამდელი განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა კრიზისული სიტუაციების დროს; - 3 ონლაინ ტრენინგ მოდულის შემუშავება აღმზრდელებისთვის; - ინდივიდუალური კონსულტაციები.
Nobody's Perfect Parenting Program	კანადა	0-5 წლის ბავშვების მშობლები (ახალგაზრდა, მარტოხელა, დაბალი შემოსავლის მქონე)	მშობლების მენტალური ჯანმრთელობა, პოზიტიური მშობლობა, ადრეული განათლების მხარდაჭერა	ონლაინშეხვედრების (ინდივიდუალური, ჯგუფური) ჩატარება მშობლებისთვის.
Kangaroo Foundation	კოლუმბია	ნაადრევად დაბადებული და მცირეწონიანი ახალშობილებისა და მათი მზრუნველების მხარდაჭერა	„კენგურუ ზრუნვა"[34]	- ახალდაბადებულებზე ზრუნვა; - ინდივიდუალური ოთახები კოვიდდადებითი მშობლებისთვის.

[34] „კენგურუ ზრუნვა" ახალდაბადებულ ჩვილზე ზრუნვის მეთოდია, რომელიც გულისხმობს „კანი კანთან" შეხების უზრუნველყოფას.

პროგრამა/ ორგანიზაცია	ქვეყანა	ბენეფიციარები	პროგრამის ფოკუსი	COVID-19-ის დროს განხორციელებული ძირითადი ინტერვენციები
International Resceu Committee (Alhal Simsim Programme)	იორდანია	კონფლიქტით დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ოჯახები	ადრეული განათლების მხარდაჭერა	- შეტყობინებები სოციალური ქსელის საშუალებით, COVID-19-ის შესახებ ინფორმაცია, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ადრეული განათლების აქტივობები; - ინდივიდუალური სატელეფონო ზარები სასკოლო მზადყოფნისთვის მშობლებთან; - სკოლამდელი განათლების მეთოდების მედია საშუალებებით გავრცელება.
Parenting for Lifelong Health	ფილიპინები	0-18 ასაკის ბავშვების ოჯახები	ბავშვზე ძალადობის პრევენცია პოზიტიური მშობლობის გზით	- EMAPA - მშობლობის პროგრამა, ვაიბერისა და FB მესენჯერის საშუალებით; - რჩევები მშობლებისთვის ბუკლეტების, ვიდეოების, მედიასაშაულებით; - ინდივიდუალური კონსულტაციები კლინიკებში ბავშვთა დაცვის მიმართულებით; - COVID-19-ის შესახებ ინფორმაციისთვის სპეციალური კონტენტის დამატება ბავშვთა დაცვის მიზნებისთვის.
Path	მოზამბიკი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები, მათ შორის, შშმ ბავშვების	თამაშზე დაფუძნებული და პოზიტიური მშობლობის მიდგომების სწავლება მშობლებისთვის	- გარე აქტივობები სპეციალისტებისთვის; - უსაფრთხოების პროტოკოლის დაცვით სახლში ვიზიტები; - პოდკასტები და ვიდეოები; - COVID-19-თან და შშმ ბავშვებთან; დაკავშირებული ბეჭდური მასალები.

3.6. გამოუყენებელი შესაძლებლობები

COVID-19-მა უზარმაზარი ტრაგიკული გავლენა იქონია მსოფლიოზე. ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, პანდემიის დადებით მხარეებზე საუბარი, თუმცა აშკარაა, რომ ამ პერიოდში გაჩნდა შესაძლებლობები, მათ შორის, სკოლამდელი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლადაც.

კვლევამ ნათლად დაგვანახვა, რომ სისტემას გაუჭირდა ამ შესაძლებლობების დანახვა და შემდგომ, გამოყენება. სკოლამდელი განათლება უბრალოდ „გააჩერეს“, როგორც რიგი სხვა ბიზნესებისა და დაელოდნენ უკეთეს დროს. ვერც ცენტრალურმა და ვერც ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ვერ შეძლეს, სისტემის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ ის შესაძლებლობები, რომელიც გაჩნდა ბაღების გაჩერების შედეგად – სფეროს მუშაკთა გამოთავისუფლებული დრო, ბაღის ცარიელი შენობები და ეზოები, მშობელთა გაზრდილი ინტერესი და ჩართულობა, დაზოგილი თანხები.

- განათლების სამინისტრომ დროულად ვერ დაამტკიცა აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგმოდულის ონლაინვერსია, შესაბამისად, ვერ მოხდა შესაძლებლობის გამოყენება – აღმზრდელებისთვის ტრენინგის დისტანციურად ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მეტი დრო გამოუთავისუფლდათ – სასწავლო პროცესი ბაღში არ მიმდინარეობდა;
- არ ჩატარებულა სხვა თემატიკის ტრენინგებიც აღმზრდელებისა და ბაღების სხვა პერსონალისთვის. თუმცა, როგორც გამოკითხვიდან ჩანს, ასეთი ტრენინგების საჭიროება იყო – ასეთი ტრენინგები საჭიროებების ჩამონათვალში დაასახელა გამოკითხული ბაღების 30%-მა აღმზრდელებისთვის და 28%-მა სხვა პერსონალისთვის;
- ბაღების გაჩერების შედეგად დაზოგილი თანხები ბაღის ეზოების სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა. ეს საკითხი, რომელიც უკვე 5 წელია მუნიციპალიტეტების წინაშე დგას, გამოკითხული ბაღების ნახევარზე მეტმა (54,4%) გადაუდებელ საჭიროებად დაასახელა. მუნიციპალიტეტებმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს და დღემდე მდგომარეობა უცვლელია, მით უფრო, პანდემიის დროს ეზო იძენს დამატებით მნიშვნელობას – კარგად აღჭურვილი ფუნქციური ეზო იძლევა სასწავლო- აღმზრდელობითი პროცესის გარეთ გამოტანის საშუალებას.
- აგრეთვე დაზოგილი თანხებით შესაძლებელი იყო ბაღების სხვა საჭიროებების დაკმაყოფილება. კვლევაში მონაწილე ბაღებმა დაასახელეს ის პრობლემები, რომლებიც 2021 წლის თებერვალში ჯერ არ იყო მოგვარებული: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (27%), ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერი, ინტერნეტი – 50%), საგანმანათლებლო რესურსის ნაკლებობა (25%).



- უნიციპალიტეტებს შეეძლოთ, ბაღების დახმარებით, ბავშვების/ოჯახების საგანმანათლებლო საჭიროებების ლოკალური კვლევების ჩასატარების ხელშეწყობა და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისთვის დახმარების აღმოჩენა;
- ასევე, არ მოხდა სსსმ და შშმ ბავშვების და მათი ოჯახების საჭიროებების შესწავლა, მათი განვითარების ინდივიდუალური გეგმების კორექტირება პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით და ოჯახებისთვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
- როგორც კვლევამ აჩვენა, მათ ძალზე ესაჭიროებოდათ წიგნები და სხვა განმავითარებელი რესურსი, აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნებოდა ოჯახებისთვის ინტერნეტპაკეტების დარიგება;
- მკაცრი კარანტინის მოხსნის შემდეგ, განსაკუთრებით „მწვანე“ ზონებში – მაღალმთიან და მცირერიცხოვან სოფლებში, შესაძლებელი იყო ბაღის აღმზრდელების მობილიზება სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის „სასწრაფო დახმარების“ გასაწევად – მათ სასკოლოდ მოსამზადებლად. ამ დახმარების გაწევა სხვადასხვა ფორმით შეიძლებოდა, მაგალითად, პატარა, ხუთბავშვიანი ჯგუფების აღმზრდელებთან შეხვედრები ღია ცის ქვეშ;
- პანდემიამ ხელი შეუწყო მშობლების დაინტერესებას ბავშვების განათლების საკითხებით და მათი ჩართულობა გაზარდა. სამწუხაროდ, საკანონმდებლო დათქმის მიუხედავად, ამ გაზრდილი ჩართულობის გამოყენება ვერ მოხერხდა საკონსულტაციო საბჭოების გასააქტიურებლად. აქტიურ საკონსულტაციო საბჭოს შეუძლია, დადებითი როლი ითამაშოს თემის მობილიზებისთვის, გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და გაზარდოს ნდობა საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- მშობლების ჩართულობის ზრდაზე როდესაც ვსაუბრობთ, აღსანიშნავია მამაკაცების/მამების დაინტერესების ზრდა ბავშვის განვითარების საკითხებით. სამწუხაროდ, ეს დაინტერესება ბაღების მხრიდან არ გამოყენებულა სათანადოდ, რომ მამაკაცების ჩართულობა გაზრდილიყო ბაღების ცხოვრებაში.
- პანდემიამ გააჩინა შესაძლებლობა, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურას ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე ერთობლივად ეზრუნა ბავშვის საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფაზე. ინტერსექტორული თანამშრომლობა არ შედგა.

დასკვნის მაგივრად

ჩვენი კვლევის ბოლოს კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა და, გარკვეულწილად, შევაჯამოთ კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები.

1. ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ბავშვის უფლებაა და სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ის. ამასთან, სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვის განვითარების საფუძველია და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის;

2. ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, პანდემიის პირობებშიც სკოლამდელ დაწესებულებებს შეუძლიათ შედარებით უსაფრთხოდ იფუნქციურონ და მიაწოდონ ბავშვებს მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლება;

„ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე“
ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 5-6

3. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემოღების შემთხვევაში, საბავშვო ბაღები უნდა იხურებოდეს ყველაზე ბოლოს და იხსნებოდეს ყველაზე ადრე. ამასთან, უწყვეტად უნდა ფუნქციონირებდეს ბაღები სამედიცინო პერსონალის, პოლიციელების, აფთიაქების თუ სასურსათო მაღაზიების თანამშრომლების და პანდემიის დროს მომუშავე სხვა პროფესიების მშობლების ბავშვებისთვის, აგრეთვე, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის;
4. დანარჩენი ბაღების (ჯგუფების) გახსნა/დახურვის საკითხი უნდა წყდებოდეს დივერსიფიცირებულად, მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციით, კოვიდსიტუაციის შეფასებისას ცალკეული ბაღის გეოგრაფიული მდებარეობის, სიდიდისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ბაღის მუშაობის პირობებიც უნდა განსხვავდებოდეს სხვადსხვა ზომის, სოფლის და ქალაქის ბაღებისთვის (შუქნიშნის პრინციპი);
5. ბაღების მაქსიმალურად უსაფრთხოდ ფუნქციონირებისთვის უნდა დადგინდეს ჯგუფში ბავშვთა რაოდენობის ზედა ზღვარი (მაგალითად, 15 ბავშვი) და ამ ჯგუფზე მიმაგრებული პერსონალი არ უნდა კოტაქტირებდეს სხვა ჯგუფებთან - ბავშვებთან და პერსონალთან. აგრეთვე, ჯგუფები ერთმანეთისგან უნდა იყოს იზოლირებული;
6. ბაღის პერსონალი უნდა იყოს ვაქცინირებული ან/და რეგულარულად იტესტებოდეს. ერთი ჯგუფის შიგნით ბავშვებისთვის უნდა მოქმედებდეს მხოლოდ სანიტარული რეგულაციები - არ დაიშვება სიცხიანი ბავშვი, ხელების დაბანა - დეზინფიცირება. ბავშვებს არ მოეთხოვებათ დისტანციის დაცვა, არ ეკრძალებათ ერთად საერთო სათამაშოებით თამაში. აღმზრდელს არ მოეთხოვება ჯგუფში პირბადის ტარება;
7. სახლიდან ბაღში ტრანზიციის პერიოდში ბავშვის მშობელი დაიშვება ჯგუფში (პირბადით), თუ ის ვაქცინირებულია ან/და აქვს ტესტის შედეგი. იგივე ეხება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლებს, შშმ ბავშვების დამხმარე პერსონალს;
8. ბაღმა უნდა მოაწყონ ეზოები სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად და გადააწყონ თავისი სამუშაო გრაფიკი ისეთნაირად, რომ ბავშვებმა რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ ეზოში;

9. ყველა ბაღი უნდა იყოს ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი და პერსონალი გადამზადებული რომ მათ შეეძლოთ ბავშვებთან და მშობლებთან კომუნიკაცია და დახმარება;
10. სრული ლოქდაუნის შემთხვევაში, აუცილებელია ოჯახების მხარდაჭერა როგორც ჰუმანიტარული კუთხით (საკვები პროდუქტები, საგანმანათლებლო რესურსის დარიგება), ასევე, მშობლებისთვის მეთოდური მითითებებით - როგორ იმუშაონ (ითამაშონ) ბავშვებთან მათი ყოველვხრივი განვითარებისთვის.